გელა ბეჟუაშვილის ვიზიტი ბაქოში A3

ფედერაცია კანცელარიას ბაძავს A6

გადავყაროთ არასრულფასოვანი ბავშვები A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 23 დეკემბერი, 2005 წელი. №285 (1145)

ფასი 50 თეთრი

არაოფიციალური, მაგრამ მნიშვნელოვანი სტუმარი

გუშინ საღამოს საქართველოს არაოფიციალური ვიზიტით რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბასესკუ ეწვია. ოფიციალური ინფორმაციით, სამთავრობო რეზიდენციაში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და ტრაიან ბასესკუს შორის შეხვედრა გაიმართა. პრეზიდენტებმა ერთად ივახშმეს, რის შემდეგაც რუმინეთის პრეზიდენტმა საქართველო დატოვა.

ეს რუმინეთის პრეზიდენტის საქართველოში უკვე მეორე ვიზიტია. ტრაიან ბასესკუ თბილისში 23 ნოემბერს, "ვარდების რევოლუციის" ორი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით იმყოფებოდა.

ოფიციალური ინფორმაციის სიმწირის მიუხედავად, ცხადია, რუმინეთის პრეზიდენტის მოულოდნელი ვიზიტის მნიშვნელობა მხოლოდ მეგობრული ვახშმით არ შემოიფარგლებოდა.

7 დეკემბერს რუმინეთის პრეზიდენტმა და აშშ სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას რუმინეთში ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერით, თეთრი სახლი ოფიციალურად შეუდგა სტრატეგიის განხორციელებას, რომელმაც მნიშვნელოვნად უნდა შეცვალოს პოლიტიკურ ძალთა ბალანსი შავი ზღვის რეგიონში.

რუმინეთი კიევში ახლახან დაფუძნებული "დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის" ერთ-ერთი აქტიური წევრია. საქართველოსა და უკრაინის ლიდერების მსგავსად, ბასესკუ "დემოკრატიულ ტალღაზე" მოსული პრეზიდენტია. თუმცა, რუმინეთში 2004 წელს "ხავერდოვანი რევოლუციის" მოწყობა აღარ დასჭირვებიათ.

რუმინეთის პოლიტიკა რეგიონში უფრო მეტად მას შემდეგ გააქტიურდა, რაც ექვქვეშ დადგა მისი 2007 წელს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი. მართალია, გაწევრიანების შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია, მაგრამ თავად ევროკავშირში წარმოქმნილი კრიზისი ამ გადაწყვეტილების დროულად განხორციელებას საეჭვოს ხდის. ქვეყნის კურსი უფრო პროამერიკული გახდა.

24 საათი

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	23/12	24 /12
თბილისი	7	10
ტყიბული	9	8
სოხუმი	8	5
გორი	5	6
ონი	1	0
ზუგდიდი	11	8
ახმეტა	6	9

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7824
ევრო	2.1195
ბირვანძა სტერლ.	3.1303
რუბლი	0.0620

ამბები	A 2
ამბები	A 3
რეპორტაჟი	A 4
რეკლამა	A 5
სპორტი	A 6
კონკურსი	A 7
სხვადასხვა	A 8

ბოსტსაბჭოთა ევროპა

დიმიტრი ავალიანი

ბალტიის ქვეყნები ერთ დროს, საქართველოს მსგავსად, საბჭოთა კავშირის "ერთიანი და ძმური" ოჯახის წევრები იყვნენ. დღეს კი ისინი უკვე ევროპულ ოჯახში არიან, სადაც შესვლა ჩვენს ქვეყანასაც სურს. ყოფილი საბჭოთა მეზობლები დღეს თავიანთ გამოცდილებას გვიზიარებენ და, ადრე თუ გვიან, ერთიან ევროპაში ჩვენი ხილვის იმედიც აქვთ.

წინასაშობაო ბაზრობა რიგის ცენტრში.

ქართველი ჟურნალისტები, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის თანხლებით, ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და სეიმმა სწორედ ევროკავშირში გაწევრიანების გამოცდილების გაზიარებისათვის და ევროინტეგრაციის პირველი შედეგების გასაცნობად მიიწვიეს.

ევროსკეპტიკოსები და ევროოპტიმისტები

მიუხედავად თავიდანვე არჩეული მკვეთრი პოლიტიკური კურსისა ევროინტეგრაციის მიმართულებით, ევროკავშირში გაწევრიანებას ლატვიაში თავის დროზე საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. **"საზოგადოებრივი აზრი თითქმის თანაბრად იყო გაყოფილი. ბევრს ეშინოდა ფასების ზრდის, მიგრანტთა მოძალების. იყო რადიკალური განცხადებებიც იმის შესახებ, რომ ქვეყანა ამით თავის სუვერენიტეტს დათმობს,"** - ამბობს ლატვიის სეიმთან არსებული, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი მარა ძირნიეცე. ცენტრმა თავის დროზე დიდი მუშაობა გასწია მოსახლეობისათვის ევროკავშირის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებისათვის. მარა ძირნიეცეს თქმით, 2003 წლის 21 სექტემბრის რეფერენდუმის შედეგები, როდესაც ევროკავშირში გაწევრიანებას ამომრჩეველთა 67-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი, დიდწილად მთავრობის მხრიდან მასირებულმა პიარ-კამპანიამ განაპირობა. ევროინტერგაციის სასარგებლოდ ერთ-ერთი გადამწყვეტი არგუმენტი კი რუსეთის გავლენასა და ევროკავშირს შორის არჩევანის აუცილებლობა გახდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

ენერგომატარებლებისთვის ბრძოლა სულ უფრო მძაფრდება

ბოლო პერიოდში ყველაზე აქტუალური თემა რუსული სახელმწიფო საწარმო "გაზპრომის" მიერ მეზობელ და შორეულ ქვეყნებში ენერგოპოლიტიკის გატარებაა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე რუსული სახელმწიფო ორგანოების ძალისხმევის შედეგად "გაზპრომის" (ანუ სახელმწიფოს) საკუთრებაში აღმოჩნდა რუსული გაზის და ნავთობის ძირითადი მარაგი და მილსადენები, რაც ექსპროპრირებულ იქნა სხვადასხვა კერძო მეწარმეებისა და კომპანიებისაგან. ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, ამის შედეგად შექმნილი სახელმწიფო კომპანია რა ეკონომიკურ-პოლიტიკურ ნაბიჯებს გადადგამდა სხვა ქვეყნების მიმართ, რათა რუსული სახელმწიფოს ინტერესები გაეტარებინა, რაც, ცხადია, რუსეთის შიდა საქმე და მისი გადასაწყვეტია. რუსეთის ისტორია მუდამ ერთ პრიორიტეტს აღიარებს: ეკონომიკა - ეს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, და ნაკლებად - კერძო მეწარმეობის და საბაზრო ეკონომიკის. ამ მხრივ საინტერესოა, თუ როგორ იყენებს თვით რუსეთის სახელმწიფო ამ ბერკეტს და რა ნაბიჯებს დგამს. "გაზპრომ"-მა (შესაბამისად, რუსეთის სახელმწიფომ) გაზის მიმღები ქვეყნები რამდენიმე კატეგორიად დაჰყო. ასევე მხედველობაშია მიღებული, თუ რა რაოდენობის გაზს მოიხმარენ ეს ქვეყნები და აქვთ თუ არა ალტერნატივა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ძლიერი ჩინეთი - საფრთხე მეზობლებისთვის

როგორც ჩანს, იაპონიასა და ჩინეთს შორის დაპირისპირება მწვავდება. ჩინეთის სამხედრო პოტენციალის ზრდა საფრთხეს წარმოადგენს მეზობლებისთვის, - განაცხადა გუშინ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარო ასომ, რასაც დაუყოვნებელი პასუხი მოჰყვა პეკინიდან. სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლის თქმით, იაპონელი მინისტრის განცხადება დაუსაბუთებელი რიტორიკაა და სხვა არაფერი.

იაპონიის ხელისუფლება უკვე რამდენიმე წელიწადია, ჩინეთის სამხედრო ძლიერების ზრდას ნომერ პირველ საზრუნავად აღიქვამს.

ჩინეთი "მეზობელი ქვეყანაა მილიარდი მცხოვრებითა და ატომური ბომბებით, რომლის სამხედრო დანახარჯებიც, უკვე 12 წელიწადია, განუხრელად იზრდება, - განაცხადა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, - **რაც მთავარია, ამ დანახარჯების შინაარსი სრულიად გაურკვეველია.**

გაგრძელება A3 გვერდზე

აშშ სენატმა ქართულ სამშვიდობო გეგმას მხარი დაუჭირა

გუშინ აშშ სენატმა სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოწესრიგების საქართველოს გეგმის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო. დოკუმენტში გამოთქმულია მხარდაჭერა საქართველოს სამშვიდობო გეგმისადმი და "საქართველოს შემადგენლობაში ამ რეგიონის წარმატებული და მშვიდობიანი რეინტეგრაციის" მიმართ.

ოქტომბრის ბოლოს ქართულ სამშვიდობო გეგმას ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია გამოეხმაურა და მის მიმართ სრული მხარდაჭერა გამოთქვა.

სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოწესრიგების გეგმა 27 ოქტომბერს ვენაში ეუთო-ს წევრებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა წარუდგინა. გეგმა რეგიონის დემილიტარიზაციას, ეკონომიკურ რეაბილიტაციას და საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას ითვალისწინებს.

24 საათი

ბიუჯეტი-2006: ამოცანების თუ გეგმების კრებული?

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გუშინდელი განხილვის დროს, პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ "ხისტი" პოლიტიკოსია. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც საქმე ოპოზიციასთან ურთიერთობას ეხება. მთავრობის ხელმძღვანელი თავისი პოლიტიკური ოპონენტების მიმართ საკმაოდ მკვეთრი შეფასებების გაკეთებას არ მორიდებია. ზურაბ ნოღაიდელის თქმით, "ოპოზიცია უცოდინარია" და მას, ეკონომიკური განათლების დონის ასამაღლებლად, დახმარება სჭირდება.

გიორგი ასანიშვილი

"როგორც ჩანს, ელემენტარულ ეკონომიკურ საკითხებზე თქვენთვის ლექციების წაკითხვა და სემინარების ჩატარება მომიწევს," - "წუხს" ნოღაიდელი და იქვე აკონკრეტებს, რომ "ცოდნის გაღრმავებას" ყველაზე მეტად "დემოკრატიული ფრონტის" წევრი ბეჟან გუნავა საჭიროებს, რომელიც რამდენიმე დღის წინათ დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიდან 455 მილიონი ლარი უკვალოდ არის გამქრალი.

პრემიერ-მინისტრის კრიტიკას გუშინ ვერც "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე გადაურჩა.

"გამყრელიძის შეკითხვები საქართველოს არაკეთილმოსურნეთა შეკითხვებს ემთხვევა," - ასეთი დასკვნა ნოღაიდელმა მას შემდეგ გამოიტანა, როდესაც გამყრელიძე დაინტერესდა, სამხედრო ჰოსპიტლის გორში გადატანა ქართულ-ოსური კონფლიქტის არამშვიდობიანი გზით გადაჭრას ხომ არ უკავშირდება.

ზურაბ ნოღაიდელი გუშინ ისეთ "ფორმაში" ჩანდა, რომ მზად იყო, პოლემიკაში თვით პარლამენტის თავმჯდომარესთანაც კი ჩაბმულიყო, რომელიც წიგნის პალატისა და დეპუტატების თანაშემწეთა ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხებში გარკვევას შეეცადა, მაგრამ ნინო ბურჯანაძე, სიტუაციის შესაბამისად, პრემიერთან ურთიერთობის გამწვავებაზე აღარ წავიდა.

ზურაბ ნოღაიდელის "სიხისტე" დეპუტატებისთვის უცხო ხილი არ არის და ისინი მის მკვეთრ გამონათქვამებს მაინცადამაინც მტკივნეულად არ განიცდიან, თუმცა საპასუხო რეაქცია მაინც აქვთ. ასე მაგალითად, "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი ივლიანე ხაინდრავა მთავრობის ხელმძღვანელსა და ეკონომიკური ბლოკის მინისტრებს ირონიულად "პოსტმოდერნისტული ეპოქის ეკონომიკური აზროვნების გიგანტებს" უწოდებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ქუთაისის საპყრობილეში სპეცრაზმია მობილიზებული

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქუთაისის N2 საპყრობილეში პატიმრების ბუნტის გასანეიტრალებლად კვლავაც სპეცდანიშნულების რაზმია მობილიზებული. შეირაღებული სპეცრაზმელები, საპყრობილის ადმინისტრაციის მითითებით, ჟურნალისტებს თავიანთი სამუშაოს შესრულების უფლებას არ აძლევენ. ციხის ტერიტორიაზე არც პატიმრების ახლობლებს უშვებენ. განსასჯელები ახლობლებისგან და საზოგადოებისაგან შველას ყვირილითა და გისოსებიდან მაისურების ფრიალით ითხოვენ.

"გვირტყამენ, გვკლავენ, გვიშველეთ - ჟურნალისტებს და ადვოკატებს დაუძახეთ," - ეს ის ფრაზებია, რასაც პატიმრები ციხიდან ყვირიან.

სპეცრაზმელების მხრიდან პატიმრების ცემის ფაქტი წინა დღით განსასჯელების მიერ ატეხილ ბუნტს მოჰყვა. პატიმრების ბუნტის გასანეიტრალებლად ქუთაისის N2 საპყრობილეში სპეცდანიშნულების რაზმის შეყვანა გახდა აუცილებელი.

"როდესაც სპეცდანიშნულების რაზმი შეეცადა, რომ ჩაეტარებინა ჩხრეკა და მიეღო სხვადასხვა ზომა სიტუაციის სტაბილიზაციისთვის, რამდენიმე პატიმარმა მათ საკმაო წინააღმდეგობა გაუწია. ამ დროს შეიძლება გამოვლინდა გარკვეული დაზიანებები, მაგრამ ამის თაობაზე შეგიძლიათ მიმართოთ პროკურატურას და გამოძიებას," - აცხადებს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე "24 საათთან" საუბარში.

სპეცდანიშნულების რაზმის მიერ პატიმრების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტს და იმას, რომ რამდენიმე განსასჯელს ფიზიკური დაზიანებები აქვს მიღებული, სახალხო დამცველის რწმუნებულიც ადასტურებს, თუმცა იქვე დასძენს: **"ციხის ადმინისტრაციის მხრიდან ასეთი ქმედება იყო აბსოლუტურად ადეკვატური და ლეგიტიმური, რადგან პატიმრები აშკარად არ ემორჩილებოდნენ კანონს. სხვათა შორის, რამდენიმეს თვითდაზიანებებიც აქვს მიღებული."**

გაგრძელება A3 გვერდზე

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

საქართველოში 2005 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა 100,4 პროცენტი შეადგინა.

ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა სამთომოპოვებით მრეწველობაში წარმოებულ პროდუქციაზე 1,3 პროცენტით, რაც, ძირითადად, გამოწვეული იყო ნახშირის მოპოვებაზე ფასების 62,3-პროცენტიანი და ნედლი ნავთობის მოპოვებაზე ფასების 4,5-პროცენტიანი ზრდით. ამასთან, დამამუშავებელ მრეწველობაში წარმოებულ პროდუქციაზე ფასების საერთო დონე გაიზარდა 0,5 პროცენტით. რაც შეეხება ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებას, წინა თვესთან შედარებით, ფასების საერთო დონე არ შეცვლილა.

2005 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ფასები შემცირდა საკვები პროდუქტების წარმოებაზე 2,9 პროცენტით, რაც გამოიწვია შაქრის წარმოებაზე ფასების 15,2-პროცენტიანმა შემცირებამ, თუმცა დამამუშავებელ მრეწველობაზე ამას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

2005 წლის ნოემბერში, 2004 წლის დეკემბერთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა 107,4 პროცენტი შეადგინა.

მიმდინარე წლის თერთმეტ თვეში სამთომოპოვებით მრეწველობაში ფასების საერთო დონე გაიზარდა 16,0 პროცენტით, დამამუშავებელ მრეწველობაში - 9,6 პროცენტით.

24 საათი

N4 სამშობიაროს ხელმძღვანელობის ბედი დღეს გადაწყდება

დღეს თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობა ქალაქის მერს, ქალაქის №4 სამშობიარო სახლის დირექტორატის გადაყენების მოთხოვნით, მოხსენებით ბარათს წარუდგენს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში კი სპეციალური კომისია სამშობიაროს რამდენიმე ექიმისთვის ლიცენზიის შეჩერების საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას 26 დეკემბერს გამოიტანს.

სქემე ეხება აღნიშნულ სამშობიაროში 19 დეკემბერს მომხდარ ფაქტს. 22 წლის მშობიარე თამარ ვალიანი ახალშობილთან ერთად გარდაიცვალა. მშობიარის ისტორიაში გარდაცვალების მიზეზად მითითებულია ტრომბოემბოლია. თუმცა, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობა სამშობიაროს მედპერსონალის მიერ გაკეთებულ დასკვნას ეჭვქვეშ აყენებს. მართალია, გარდაცვლილის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებულა (ჯანდაცვის სამსახურის ინფორმაციით, ვალიანის ახლობლების წინააღმდეგობის გამო), მაგრამ საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობას დაეჭვების საფუძველს მშობიარის ისტორია აძლევს. **"ვალიანის მშობიარობის ისტორიის შესწავლისას სერიოზული დარღვევები გამოვლინდა. მაგალითად, პაციენტისთვის სისხლის გადასხმის დრო არაზუსტად (4 საათით ადრე) არის მითითებული და გადასხმული სისხლის ოდენობაც სრულად არ არის გაფორმებული ისტორიაში,"** – აცხადებს სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა.

ამიტომაც, სამსახურში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ გუშინდელ სხდომაზე სამშობიაროს დირექტორატის გადაყენება მიზანშეწონილად მიიჩნია. **"ხოლო თუკი სამშობიაროში არსებულ დარღვევებს მომავალი ხელმძღვანელობაც არ გამოასწორებს, სამშობიაროსთვის ლიცენზიის შეჩერებასაც მოვითხოვთ,"** – აცხადებს მაქაცარია.

24 საათი

სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისია რუსეთის წინააღმდეგ სარჩელს ამზადებს, რომელსაც სტრასბურგში შეიტანს. სარჩელი რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებებს შეეხება. მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევას და იმ ეკონომიკურ ზარალს, რომელიც საქართველომ ამ კონფლიქტის გამო მიიღო. ამ თემაზე გუშინ პარლამენტში პრესკონფერენცია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელმა შოთა მალაშხიამ გამართა და აღნიშნა, რომ საერთო ჯამში ზარალი 15 მილიარდ დოლარს აღწევს. მალაშხიას თქმით, სარჩელის მომზადებაში ჩაერთვებიან როგორც ადგილობრივი იურისტები, ასევე უცხოელები. მალაშხია ამბობს, რომ ზარალის თაობაზე დეტალური ინფორმაცია ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა ეს 15 მილიარდი დაახლოებითი ციფრია და ის გათვალისწინებული იქნება. მალაშხიას განცხადებით, სტრასბურგში გასაგზავნი სარჩელის თაობაზე ინფორმაცია უკვე მიაწოდეს პარლამენტის თავმჯდომარეს და იგი გადაწყვეტილებას მხარს უჭერს. გარდა ამისა, მომავალ კვირას პარლამენტში ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური მოსმენა გაიმართება, სადაც "მაგთის" და "ჯეოსელის" ხელმძღვანელებს მოიწვევენ, აგრეთვე, დიმიტრი ქიტოშვილს, და ისაუბრებენ იმ რუსული კავშირგაბმულობის კომპანიების შესახებ, რომლებიც თავიანთ საქმიანობას აფხაზეთის ტერიტორიაზე ახორციელებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

სტიქიური მოვლენებისთვის ბიუჯეტში 5 მილიონი ლარი გაითვალისწინეს

სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით, 2006 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო დამატებით თანხებს გამოყოფს. ამის თაობაზე განცხადება პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას გააკეთა. მისი თქმით, ძალიან მაღალი აღბათობაა იმისა, რომ რამდენიმე რაიონში სტიქიური უბედურება მოხდეს, რამაც შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს მოსახლეობას.

"ამის თავიდან ასაცილებლად, მომავალი წლის ბიუჯეტში 5 მილიონი ლარი გავითვალისწინეთ და ვიმედოვნებ, რომ ეს თანხები სტიქიური მოვლენების პრევენციისათვის საკმარისი იქნება," - განაცხადა ნოღაიდელმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

703ტ. 1503ტ. 2503ტ. 4003ტ. უმაღლესი ხარისხის სანათების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2005 წლის 12 დეკემბერს 70ვტ. 150ვტ. 250ვტ. 400ვტ. უმაღლესი ხარისხის სანათების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოქვეყნებულ განცხადებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1.დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 16 დეკემბრის 12 საათიდან 16 დეკემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

2. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ 2006 წლის 2 იანვრიდან სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

3. განცხადებიდან ამოღებულ იქნას მე-9 პუნქტი - ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული პირების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოყენებულ იქნება პრეფერენციული შეღავათი 15% -ის ფარგლებში.

**დაიკარგა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ამონაწერი.
ალ. ყაზბეგის, ტაშკენტის, მიცკევიჩისა და ტანძიის ქუჩებს შორის მდებარე ტერიტორიაზე- 15/23.**

ბიუჯეტი-2006: ამოცანების თუ გეგმების კრებული?

პირველი გვერდიდან

"ნოღაიდელის ლექსიკა და ტონი ოპოზიციას ვერაფერს ავნებს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ასეთი განწყობა პარლამენტის მიმართ მთავრობის დამოკიდებულების იდენტურია," - მიიჩნევს ივლიანე ხაინდრავა.

"მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი ზურაბ ტყემალაძე კი პრემიერ-მინისტრს იმას საყვედურობს, რომ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირვანდელ ვარიანტთან შედარებით, არსებითად არის შეცვლილი ცალკეულ უწყებათა დაფინანსება, ზოგიერთ სამინისტროს რამდენიმე ათეული მილიონი აკლდება, ზოგიერთს კი ემატება, რაც, ტყემალაძის აზრით, ბიუჯეტის არასრულფასოვნად დაგეგმვის შედეგია.

"სიამოვნებით დავესწრები მთავრობის ლექციებს და მონაწილეობას მივიღებ მათ სემინარში, სადაც ბიუჯეტის სწორედ დაგეგმვასა და შედგენას ვისწავლი," - აღმასრულებელი ხელისუფლების ირონიას ირონიითვე პასუხობს დავით გამყრელიძის თანაგუნდელი.

პრემიერისთვის ნერვების მოშლას ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" პოლიტიკური მდივანი კახა კუკავაც ცდილობს, რომლისთვისაც გაუგებარია, თუ რას ნიშნავს "სამედიცინო დახმარების საპრეზიდენტო პროგრამა".

"ასეთი დასახელების პროგრამები ცივილიზებულ ქვეყნებში არ არსებობს. თუ "საპრეზიდენტო პროგრამა" გვაქვს, მაშინ რატომ არ უნდა შემოვიღოთ "საპრემიერო" და "საპარლამენტისთავმჯდომარეო პროგრამები?" - "მაცდურ იდეას სთავაზობს" ზურაბ ნოღაიდელს კახა კუკავა, რომელიც მთავრობას იმასაც საყვედურობს, რომ **"საპრეზიდენტო ფონდის სახსრები, ხშირად, არადანიშნულებისამებრ იხარჯება და დღესასწაულების მოწყობასა და დეპუტატების საზღვარგარეთულ ვოიაჟებს ხმარდება."**

როგორც სავარაუდო იყო, "უცოდინართა" არგუმენტების "გასაბათილებლად" მთავრობის მეთაურს ძალიან დიდი დრო არ დაუხარჯავს. **"საპრეზიდენტო პროგრამა ნიშნავს საპრეზიდენტო პროგრამას. ვიცი, რომ ოპოზიცია ასეთ პროგრამებს დადებითად არ აფასებს, მაგრამ, სამაგიეროდ, დადებითად აფასებს მოსახლეობა,"** - "განმარტავს" ნოღაიდელი.

ილია ლიტარდიანი/ფოტო

"მოვიდა სეტყვა (ოპოზიცია), დახვდა ხისტი".

მთავრობის თავმჯდომარის მიმართ პრეტენზიები, ოპოზიციონერი პარლამენტარების გარდა, ზოგიერთ მაჟორიტარ დეპუტატსაც გააჩნია. კერძოდ, ვანის რაიონის მაჟორიტარი ბეჟან ხურციძე პრემიერ-მინისტრს ტენდენციურობაში ადანაშაულებს.

"როდესაც ფინანსთა მინისტრი იყავით, ჩემს წინამორბედ მელორ ტყეშელაშვილს, რომელიც შევარდნაძის ნათესავია, 200 ათასი ლარი გამოუყავით ვანის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისთვის. ეს საქმე მხოლოდ სანახევროდ გაკეთდა და როდესაც მის დასამთავრებლად თანხებს გთხოვთ, ფეხს ითრევთ. არადა, პრეზიდენტი საკაშვილი დამპირდა, რომ პრობლემის მოგვარებაში ფინანსური დახმარების იმედი უნდა მქონოდა," – საყვედურობს ბეჟან ხურციძე პრემიერს...

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს ივლიანე ხაინდრავა "ამოცანების კრებულს" ადარებს, რომლის ამოხსნაც დეპუტატებს, ბოლოს და ბოლოს, ბეზრდებათ და თავს ანებებენ ხოლმე. ოპოზიციონერ დეპუტატს ასეთ შთაბეჭდილებას ის გარემოება უქმნის, რომ ბიუჯეტის კანონპროექტში ხშირია ჩანაწერი "სხვა ხარჯები", რომელთა "გაშიფვრა", პარლამენტარის აზრით, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

დეპუტატების მხრიდან გაუთავებელ კრიტიკას ზურაბ ნოღაიდელი მოთმინებიდან გამოჰყავს. **"ადრე სეკვესტრი უფრო ადვილად გადიოდა პარლამენტში, ვიდრე დღეს - გაზრდილი ბიუჯეტი,"** - საყვედურობს კანონმდებლის პრემიერ-მინისტრი, თუმცა, მას იქვე შეახსენებენ, რომ თავის დროზე, როდესაც ფინანსთა მინისტრი იყო, სეკვესტრირებული ბიუჯეტი პარლამენტში სწორედ მას შეჰქონდა.

საბიუჯეტო საკითხებზე ოპოზიციასთან დისკუსიის დროს ზურაბ ნოღაიდელი საპარლამენტო უმრავლესობას, ცხადია, მარტო არ დაუტოვებია.

"როგორ, კუკავას გადასაწყვეტია, თუ რაში უნდა დაიხარჯოს პრეზიდენტის ფონდი?" - აღფოთება ვერ დამალა მაია ნადირაძემ, რომელმაც უმრავლესობის სახელით თავისი გამოსვლა მთლიანად ოპოზიციის კრიტიკას შეალია.

თუმცა, თავად ზურაბ ნოღაიდელს მიაჩნია, რომ **"ბიუჯეტის გარშემო დისკუსია სავსებით ბუნებრივი და ნორმალური მოვლენაა."** ამასთან, ის თავის სტილს (სიხისტეს) მაინც არ ღალატობს და ოპოზიციას "უხსნის", რომ **"2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ამოცანების კრებული კი არა, დღევანდელი ხელისუფლების გეგმების კრებულია."**

მინისტრის სავარძელი ქურდის ბანაობას შეეწირა

მთავრობის ერთადერთი წარმომადგენელი, ვინც გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას მორიგი საკადრო ცვლილებების შესახებ, ფაქტობრივად, ადასტურებდა, იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია გახლდათ.

ახლა უკვე იუსტიციის ყოფილ მინისტრს ჟურნალისტების კითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემის საფუძველს ალბათ, ცოტა ხნის წინ, სასჯელაღსრულების სისტემაში განვითარებული მოვლენები აძლევდა. საუბარია, ე.წ. კანონიერი ქურდის "წრიპას" გოგირდის აბანოებში გასეირნებაზე, რასაც არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელთა პოლიტიკური დარტყმა მოჰყვა. ფაქტია, პატიმარ ალექსანდრე ქურასბედიანის უკანონო სეირნობამ კოტე კემულარიას იუსტიციის მინისტრობას წერტილი დაუსვა. სხვათა შორის, როგორც პოლიტიკურ კულუარებში საუბრობენ, იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარის, "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის თეა თუთბერიძის რადიკალური პოზიცია გარკვეულწილად პარლამენტში საპრეზიდენტო უმრავლესობის ერთი ფრთის – "თავისუფლების ინსტიტუტის" ყოფილი წარმომადგენლების პოზიციას ემთხვეოდა. მონიტორინგის საბჭოს მრავალრიცხოვანი შემადგენლობიდან ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია სწორედ "თავისუფლების ინსტიტუტი" იყო, რომელიც კოტე კემულარიას ძალზე აქტიურად უტევდა, იმდენად აქტიურად, რომ შოთა კოპაძე მეორეხარისხოვან სამიზნედაც კი იქცა.

თუმცა, საკადრო ცვლილებების მსხვერპლი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძეც გახდა. მისი სავარძელი კი, ომბუდსმენის მოადგილემ დაიკავა. ბაჩო ახალაია, გარდა იმისა, რომ ადამიანის უფლებების დამცველი იყო, შსს-ს კონსტიტუციური წყობისა და კანონიერების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ძმა და სამეგრელო ზემო სვანეთის პროკურორის როლანდ ახალაიას შვილია. სხვათა შორის, ეს ის როლანდ ახალაიაა, რომელიც "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ფაქტობრივად, ერთადერთი პროკურორია, ვინც პროკურორის პოსტი შეინარჩუნა.

იუსტიციის მინისტრის სავარძელი ცესკო-ს თავმჯდომარეს გია ქავთარაძეს ერგო, კოტე კემულარიამ კი უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობა ჩაიბარა.

24 საათი

დიღმის მიწების აუქციონი არადიღმელებისთვის

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მცხეთის რაიონის ხელმძღვანელობა სოფელ დიღმის 13 მცხოვრების კუთვნილი მიწების აუქციონის წესით გაყიდვას აპირებს. აუქციონზე ადგილობრივ მოსახლეობას პრივილეგია არ მიენიჭება.

ნანა ქადაგიშვილი

ამა წლის ზაფხულში, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სოფელ დიღმის 26 მცხოვრების კუთვნილი მიწის ნაკვეთები სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. დიღმის მცხოვრებლებმა აღნიშნული გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. უზენაესმა სასამართლომ 13 მათგანის საჩივარი არ დააკმაყოფილა, დანარჩენი მომჩივანების საქმე კი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ხელახლა განსახილველად დაუბრუნა. როგორც მცხეთის რაიონის გამგებელი ვახტანგ ყიფშიძე აცხადებს, ამიერიდან 13 მოქალაქისთვის ჩამორთმეულ ნაკვეთებს, როგორც არასასოფლო-სამეურნეო მიწებს, რაიონის გამგეობა განკარგავს და აუქციონის წესით გაყიდის. **"ეს ნაკვეთები გზის პირას მდებარეობს და კომერციული დანიშნულების არის. ამიტომ აუქციონზე გაყიდვისას ადგილობრივ მცხოვრებლებს პრივილეგია არ ეკუთვნის,"** – აცხადებს გამგებელი.

საქართველოში მიწის რეფორმის დაწყების შემდეგ, 1992 წელს სოფელ დიღმის სარეფორმო ფონდში 2279 ჰექტარი მიწა შევიდა. სოფლის საერთო კრების მიერ არჩეულმა მიწის რეფორმის კომისიამ (ნოდარ ლასურაშვილის თავმჯდომარეობით) აღნიშნული ტერიტორია 2 251 ოჯახზე გადაანაწილა. 1996 წელს, მაშინდელი პრეზიდენტის 16 თებერვლის №166 ბრძანებით, საქართველოს მოქალაქეთა ოჯახებისათვის გაცემული მიწის ნაკვეთები, მათ შორის, 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბაღე, საბოსტნე, სააგარაკე, სამოსახლო და საკარმიდამო ნაკვეთები მიჩნეულ იქნა კერძო საკუთრებად. როგორც დიღმის მიწის კომისიის ერთ-ერთი წევრი გიორგი ლასურაშვილი (ნოდარ ლასურაშვილის ძმა) აცხადებს, 2001 წლამდე არც მიწის რეფორმის კომისიაში, არც მიწის მართვის სახელმწიფო და რაიონის დეპარტამენტებში, არც სასამართლოსა და პროკურატურაში დიღმის არც ერთ მცხოვრებს არანაირი საჩივარი არ შეუტანია. თუმცა, 2001 წლიდან სოფელ დიღმში ნაკვეთების არათანაბრად განაწილებაზე ალაპარაკდნენ და "მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციაში" ნოდარ ლასურაშვილის წინააღმდეგ 300-მდე დიღმელის საჩივარი გაჩნდა. სოფლის მოსახლეობა, ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაიყო - ლასურაშვილის მომხრეები და მოწინააღმდეგეები. ასოციაციის მხრიდან ამ საჩივრებზე რეაგირების საფუძველზე, ნოდარ ლასურაშვილი დააპატიმრეს. 2005 წლის 25 ივნისს კი მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურამ საოლქო სასამართლოს ლასურაშვილის მიერ 26 ოჯახზე განაწილებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა მოსთხოვა. **"საქმის გამოძიების პროცესში გამოიკვეთა გარემოებები, რომელიც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ნოდარ ლასურაშვილის, მისი ოჯახის წევრების, ნათესავებისა და მასთან დაკავშირებული პირების მფლობელობაში, შესაძლოა, უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება არსებობდეს,"** – წერია პროკურატურის სასარჩელო განცხადებაში.

საოლქო სასამართლომ პროკურორის სარჩელი დაკმაყოფილა. როგორც მოპასუხე მხარის ადვოკატი ზაზა დოლიძე აცხადებს, სასამართლოს გადაწყვეტილება სრულიად უკანონო, სამართლებრივად დაუსაბუთებელია. **"სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის, სამართლის რომელი ნორმის საფუძველზე სცნო სასამართლომ დიღმის მცხოვრებთა მიწები უკანონოდ. არ არის აღნიშნული, თუ რა ზარალი მიიღო სახელმწიფომ და რის საფუძველზე აღიძრა სარჩელი. გადაწყვეტილების მოტივაციაში მითითებული არ არის, 26 ოჯახი, ვისაც მიწას ართმევენ, ნოდარ ლასურაშვილთან რა კავშირშია,"** – განმარტავს დოლიძე. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ დიღმის 26 მცხოვრებიდან 13-ის მიმართ გამოტანილი განაჩენი სამართლიანად მიიჩნია. **"საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სასამართლო კოლეგიის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ნოდარ ლასურაშვილმა სოფელ დიღომში მიწის რეფორმა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის სრული უგულებელყოფით განახორციელა. ამოეფარა რა ვითომ სოფლის კრების გადაწყვეტილებას, თავისი ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებსა და დაკავშირებულ პირებს ყველაზე პრესტიჟული მიწის ნაკვეთები გამოუყო. ეს პირები, ვისი საკასაციო სარჩელიც არ დაკმაყოფილდა, სწორედ ნოდარ ლასურაშვილის ოჯახის წევრები, ნათესავები ან მასთან დაკავშირებული პირები არიან,"** – ნათქვამია უზენაესი სასამართლოს განჩინებაში. მართალია, დანარჩენ 13 ოჯახს, ვისი საქმეც ხელახალი განხილვის საგანი გახდა, სასამართლო ასევე ლასურაშვილთან დაახლოებულ პირებად მოიხსენიებს, მაგრამ როგორც მოსამართლე ნუნუ კვანტალიანი განმარტავს, ეს პირები სოფლის ძირძველი მაცხოვრებლები არიან და სადავო მიწის ნაკვეთები, შეიძლება, მიწის რეფორმის დაწყებამდეც მათი საკუთრება იყო. **"ამიტომ ამ 13 პირის საკითხი სასამართლომ ხელახლა უნდა განიხილოს,"** – აცხადებს კვანტალიანი.

რაც შეეხება 13 ოჯახის კუთვნილ ნაკვეთებს, რომელთაც სასამართლო პრესტიჟულ მინის ნაკვეთებად მიიჩნევს, თბილისი-მცხეთის გზისა და სოფელ დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. როგორც დიღმელები ამბობენ, 9 წლის წინათ, როცა მიწების დანაწილება დაიწყეს, ყველაზე ნაკლები ინტერესით სწორედ გზის პირას მდებარე ნაკვეთები სარგებლობდა. **"ვისაც ამ ადგილებში შეხვდათ ნაკვეთები, ეგრე ჰქონდათ მიგდებული, მაგ მტვერში რა მოსავალი უნდა მოვიყვანოთო. ბოლო წლებში კი ინტერესი გაიზარდა, პირდაპირ ტაციაობაა ამ ადგილებზე, ძმა ძმას უჩივის. ჩვენი სოფლის მარშრუტკასა და ავტობუსში თითო მაკლერი მაინც ზის და "ტოიოტას" ცენტრსა და "კანარგოს" ბენზინგასამართ სადგურთან ახლოს მდებარე ნაკვეთის მფლობელებზე ნადირობს,"** – ამბობენ სოფლის მცხოვრებლები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მცხეთის რაიონის გამგეობა დღეს ამ ნაკვეთებს არასასოფლო-სამურნეო მიწებად აცხადებს. თუმცა, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის იურისტმა დიმიტრი მახათაძემ განგვიმარტა, რომ სოფელ დიღომში 1992 წელს განაწილებული მიწები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. სასოფლო-სამეურნეო მიწებს კი განკარგავს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიწის მართვის დეპარტამენტი, ამ მიწების გასაყიდად აუქციონს ატარებს სოფლის საკრებულო და აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს აქვთ. დიღმელები ჩამორთმეული მიწების დათმობას არ აპირებენ. დიღმის საკრებულოს ხელმძღვანელობას სოფელში შექმნილი დაძაბულობა აშინებს.

მოკლედ

ოსი და ქართველი ჟურნალისტების შეთანხმება

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ჟურნალისტებმა ვლადიკავკაზში ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. მათი განცხადებით, ეს შეთანხმება იმის მაჩვენებელია, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ჟურნალისტები საერთო საინფორმაციო სივრცეში მოღვაწეობენ და ერთმანეთს ყოველმხრივ ეხმარებიან. შეთანხმება ითვალისწინებს ერთობლივი კონფერენციებისა და სემინარების ჩატარებას, მრგვალი მაგიდის მოწყობას, მედიის საშუალებათა კოლექტივების შეხვედრებს, ჟურნალისტთა შორის ორმხრივი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარებას. **ჯი-ეიჩ-ენი**

კოკოითი ნოღაიდელთან შეხვედრაზე უარს აცხადებს

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრაზე კვლავ კატეგორიულ უარს აცხადებს, თუმცა, 2006 წლის დასაწყისში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისთვის მზადყოფნას გამოთქვამს. "პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრას არ ვაპირებ, მაგრამ მზად ვარ, 2006 წლის დასაწყისში შევხვდე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს," - აღნიშნავს ედუარდ კოკოითი. დე ფაქტო პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისთვის მზადყოფნის შესახებ განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ შემუშავებული, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების გეგმა ევროკავშირმა, ევროსაბჭომ და ეუთო-ს მინიტერიალმა მოიწონა. კოკოითის ინიციატივის თანახმად, იგი საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტების მონაწილეობით გეგმავს. **ინტერპრესნიუსი**

ოს ბავშვებს კრემლში ეპატიჟებიან

ცამეტი ბავშვი ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთიდან მოსკოვში, კრემლში, საახალწლო ნაძვის ხეზეა მიწვეული. თვითაღიარებული რესპუბლიკის განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ ამჟამად ბავშვების შერჩევა მიმდინარეობს. მოსკოვში წასასვლელი ბავშვების სია, ძირითადად, სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. მიწვეულთა სიაში სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებსაც ჩართავენ. ბავშვები მოსკოვში 29 დეკემბერს გაემგზავრებიან. როგორც დე ფაქტო რესპუბლიკის განათლების სამინისტროში აცხადებენ, სამხრეთ ოსეთიდან ბავშვები კრემლის ნაძვის ხეზე პირველად მიდიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

რაიონში მცხოვრები პენსიონერები პენსიების დანამატს 2006 წლის იანვარში მიიღებენ

რაიონში მცხოვრები პენსიონერები პენსიების დანამატს, რომელიც ერთიან საპენსიო ფონდს, დედაქალაქში გაცემული სამლარიანი განსხვავებების შევსებისთვის, მიმდინარე წელს უნდა დაერიგებინა, მომავალი წლის იანვრისთვის მიიღებენ. ამ ინფორმაციას საქართველოს ერთიანი საპენსიო ფონდი ავრცელებს. ფონდის წარმომადგენელთა განცხადებით, 2006 წლის ბიუჯეტში ჩადებულია ის თანხა, რომელიც წარმოადგენს დედაქალაქის პენსიონერებისთვის დარიგებული სამლარიანი დანამატის განსხვავებას რაიონების პენსიონერებისაგან განსხვავებით და ამით აღდგება სოციალური თანასწორობა. ცნობისთვის, მიმდინარე წლის დასაწყისში დედაქალაქის პენსიონერებს გაეზარდათ პენსია 3 ლარით, ხოლო რაიონების პენსიონერებს მომატებული 3 ლარი ძველ დავალიანებაში ჩაეთვალათ, რის გამოც მოხდა სოციალური უთანასწორობა და რამდენიმე თვის განმავლობაში დედაქალაქში პენსიონერები იღებდნენ 3 ლარით მეტ პენსიას, რამაც თითოეულ პენსიონერზე 35-ლარიანი სხვაობა შეადგინა. სწორედ ამ 35 ლარს მიიღებენ რაიონის პენსიონერები მომავალი წლის იანვრის თვეში. გარკვეული ნაწილი აღნიშნული განსვავებებისა უკვე დარიგებული აქვს ერთიან საპენსიო ფონდს. პირველ რიგში, ეს განსხვავებები გაზაფხულზე სტიქიით დაზარალებულ რაიონებს დაურიგდა, როგორიც არის ლენტეხი, ცაგერი, მესტია და აჭარის მაღალმთიანი რეგიონები. **ჯი-ეიჩ-ენი**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსი კოლეგების განცხადებას გამოეხმაურა

საქართველოს საგარეო უწყებაში არ იზიარებენ რუსული მხარის განცხადებას, რომელშიც 19 დეკემბერს თბილისში სამი რუსი სამხედრო მოსამსახურის დაკავება მიზანშმართული პროვოკაციადაა შეფასებული. ქართული მხარის განმარტებით, რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების დაკავების მიზეზი გახდა ის, რომ მათ საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტები არ ჰქონდათ. "როგორც კი დაკავებული სამხედროების ხელმძღვანელმა შესაბამისი საბუთები წარმოადგინა, მათ საქართველოს სამხედრო პოლიციის დატოვების უფლება მიეცათ," - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ამავდროულად, საქართველოს საგარეო უწყებაში მიაჩნიათ, რომ ცალკეულმა ინიციდენტებმა, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, ხელი არ უნდა შეუშალოს კონსტრუქციული დიალოგის ნარმოებას რუსეთსა და საქართველოს შორის.

ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების შტაბის სამხედრო მოსამსახურეები საქართველოს სამხედრო პოლიციამ სავიზო რეჟიმის დარღვევის ბრალდებით, 20 დეკემბერს, ღამით, თბილისში ავტომობილით გადაადგილებისას დაიკავა. ისინი მთელი ღამის განმავლობაში სამხედრო პოლიციის შენობაში დაკითხვაზე იმყოფებოდნენ. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარაიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

გელა ბეჟუაშვილის ვიზიტი ბაქოში

კოლეგების შეხვედრა.

2005 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ბაქოში იმყოფებოდა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ელმარ მამედიაროვს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრს ნატიკ ალიევს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბარი მილოცვებით დაიწყო. თავის მხრივ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, როგორც საკუთარი, ასევე საქართველოს პრეზიდენტის სახელით, წინასწარ მიულოცა დაბადების დღე ბატონ ილჰამ ალიევს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრისას განიხილეს ორმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრი. ხაზი გაუსვეს არსებულ დადებით ტენდენციებს და აღნიშნეს, რომ ეს ურთიერთობები მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება. რაც შეეხება პრეზიდენტების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების იმპლემენტაციას, აღინიშნა, რომ ამ პროცესზე უშუალოდ საგარეო საქმეთა მინისტრები იმუშავებენ.

ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების - გელა ბეჟუაშვილის და ელმარ მამედიაროვის შეხვედრა პირისპირ ფორმატით ჩატარდა, რის შემდეგაც მხარეებმა მოლაპარაკებები გაფართოებული შემადგენლობით განაგრძეს.

ყურადღება გამახვილდა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საკითხზე. გადაწყდა, რომ ეს პროცესი უნდა დაჩქარდეს და უკვე 2006 წლის იანვარში თბილისში გაიმართება კომისიების მორიგი შეხვედრა.

გელა ბეჟუაშვილმა და ელმარ მამედიაროვმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს. განიხილეს სუამ-ის მნიშვნელობა და შეთანხმდნენ, რომ სუამ-ს ახლო მომავალში უფრო აქტიური და ფუნქციონალურად განსხვავებული დატვირთვა უნდა მიეცეს. აღნიშნეს, რომ ფრიად ნაყოფიერი და აქტიურია საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში თანამშრომლობა.

ორი მინისტრის საუბრის ნაწილი კონფლიქტების თემასაც დაეთმო. მათ მიმოიხილეს ყარაბახის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტები და ამ კონფლიქტებთან დაკავშირებული პრობლემები.

ასევე ისაუბრეს საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკას საელჩოს შენობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრს, ნატიკ ალიევს შეხვდა. საუბარი შეეხო ენერგეტიკული უსაფრთხოების თემას. განიხილეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების საკითხი. შეხვედრაზე ასევე განიხილეს აზერბაიჯანიდან გაზის დამატებითი მოცულობების მოწოდების თემა.

საგარეო საქმეთა სამინისტრო

ენერგომატარებლებისთვის ბრძოლა სულ უფრო მძაფრდება

პირველი გვერდიდან

პირველი ჯგუფი რუსული ნავთობისა და გაზის სატელიტი ქვეყნებია, სადაც რუსული ენერგომატარებლის მოხმარება ქვეყნის შიგნით 50-დან 100 პროცენტამდეა - მოლდოვა, სერბია და ჩერნოგორია, ესტონეთი, ბულგარეთი, ფინეთი, ლატვია, ლიტვა, საბერძნეთი, სლოვაკია, ჩეხეთი, უნგრეთი, თურქეთი, ავსტრია და ბელარუსი. მეორე ჯგუფშია 30-დან 50 პროცენტამდე დამოკიდებული ქვეყნები - უკრაინა, პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი და იტალია. საშუალო დამოკიდებულების ქვეყნებია - რუმინეთი და შვეიცარია. მცირე დამოკიდებულების ქვეყნებია - ჰოლანდია, ყაზახეთი, ბელგია. სტატისტიკურად გაუმართავი და, ამასთანავე, მცირე დამოკიდებულების (ან ალტერნატივის მქონე) ქვეყნებში შედიან - ხორვატია, სლოვენია, ბოსნია, მაკედონია, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ნავთობის მხრივ სიტუაცია მსგავსია: სატელიტი ქვეყნები (50 პროცენტიდან 100 პროცენტამდე) - ლატვია, ლიტვა, სლოვაკეთი, პოლონეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, ჩეხეთი და ყაზახეთი. მაღალი დამოკიდებულების ქვეყნები (40-60 პროცენტი) - ბულგარეთი, ხორვატია, შვეიცარია და რუმინეთი; საშუალო - გერმანია, ავსტრია, იტალია, ჰოლანდია, შვედეთი, ისრაელი, სერბია და ჩერნოგორია, თურქეთი, მაროკო, საბერძნეთი და საფრანგეთი; დაბალი დამოკიდებულების მქონე - ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, ეგვიპტე, ჩინეთი, პორტუგალია, ბელგია; გაურკვეველი სტატისტიკის და ნაკლებდამოკიდებულები არიან - სპარსეთი, ესტონეთი, დანია, ისლანდია, მალტა, მონღოლეთი და სინგაპური. ამ მხრივ ეს დაყოფა ჩვენთვის საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს: ამიერკავკასიის ქვეყნებში, თვით რუსეთის აღიარებით, ის ამ ფაქტორს ვერ იყენებს, რაც იძულებულს ხდის, გამოიყენოს სხვა ფაქტორები – კონფლიქტური ზონები, საომარი მოქმედება, ურთიერთკავშირის გაწყვეტა და სხვა ქმედებები. ასევე, ჩვენი რეგიონის გეოსტრატეგიული მდგომარეობა შუა აზიის ქვეყნებს და იგივე სპარსეთს საშუალებას აძლევს, ევროპის ქვეყნებს ალტერნატიული წყაროები მისცეს, რაც, ცხადია, რუსეთის სახელმწიფოსთვის (მათი აზრით) საზიანო და მავნე მოვლენაა. სავარაუდოდ, აქ ყველაფერი ნათელია. ახლა მიმოვიხილოთ საბაზრო ფასწარმოქმნა ამ ენერგომატარებლებზე (ძირითადად, საუბარია გაზზე).

იმის ფონზე, რომ რუსეთი უკრაინას კუბ/მეტრში 220 დოლარს სთხოვს, ის რატომღაც ბელარუსს იგივე გაზს 47 დოლარად აწვდის(?!). სოჭში გამართულ შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტი სომხეთის პრეზიდენტს დაპირდა, რომ მასაც რაიმეს მოუხერხებს 110 დოლართან დაკავშირებით. ასეთი რამ რუსეთის მხრიდან არამარტო პოსტსაბჭოურ სივრცეში ხორციელდება. ფინეთი რუსული ნავთობით (მთელი მოხმარების 70 პროცენტი) და გაზით (99 პროცენტი) "ცხოვრობს", ფასიც სტაბილური აქვს და უფრო ხელსაყრელი. სამაგიეროდ, ის რუსეთის გაღიზიანებას არ ცდილობს - არ შედის ნატო-ში, რუსებისათვის ვიზების რეჟიმი გამარტივებულია. თუმცა, ამავდროულად, ფინეთი ევროპასთან "ვაჭრობს" და ევროკავშირიდან სხვადასხვა პრეფერენციებსაც ღებულობს. სამაგიეროდ, შვედეთი, რომელსაც ეს ენერგეტიკული პრობლემა ნაკლებად ადარდებს, ყოველთვის ბალტიისპირეთის ქვეყნებს იცავს და რუსეთის მიმართ საკმაოდ ცივადაა განწყობილი. ასეთი მაგალითი მრავლადაა. ამასთანავე, აღსანიშნავია რუსული პოლიტიკის გონივრული, ხოლო ჩვენი რეგიონისათვის მეტად საშიში, ბოლო პერიოდის ნაბიჯები. რუსეთი, ხედავს რა, რომ კონფლიქტების ესკალაციით და სხვადასხვა სახის ზეწოლით თავისი მაინც, ასე თუ ისე, ვერ გაიტანა და მილსადენები აშენდა (ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, მიმდინარეობს შაჰ-დენიზის გაზსადენის მშენებლობა, სომხეთი და სპარსეთი ასრულებენ გაზის მიწოდების აღდგენით სამუშაოებს, მიმდინარეობს ჰიდროენერგორესურსების გამოყენების ზრდა და სხვა), მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა - რუსეთიდან ნავთობის და გაზის მისაღებად ჩინეთს გზა გაუხსნა. შენდება რამდენიმე მილსადენი, რომლის ერთადერთი მიზანიც შუააზიური, სპარსული და აზერბაიჯანული ენერგომატარებლების ჩინეთისაკენ წარმართვაა, რაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს ევროპის ქვეყნებს და სატრანზიტო ფუნქციის მქონე ქვეყნებს (მათ შორის, საქართველოს). ამ პროექტების სერიოზულობაზე მოწმობს ის ფაქტიც, რომ (რუსული წყაროების მიხედვით) მიხეილ ხოდორკოვსკისაგან ჩამორთმეული ყველაზე მსხვილი ობიექტის – "იუგანსნეფტეგაზი"-ს შესაძენი ფული ჩინური წარმოშობისაა, რაც, ცხადია, სამთავრობო დონეზე გადაწყდა. ასე რომ, ბრძოლა ენერგომატარებლებზე მსოფლიოში სულ უფრო მძაფრდება და საკმაოდ საშიშ ფორმებს იღებს.

საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი

ქუთაისის საპყრობილეში სპეცრაზმია მობილიზებული

პირველი გვერდიდან

ქუთაისის ციხეში პატიმრების ბუნტისა და მათზე ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტების დეტალებს მოგვიანებით გამოძიება დაადგენს. პროკურატურისა და პოლიციის გამომძიებლებს მოკვლევა უკვე დაწყებული აქვთ.

პატიმრების ბუნტის საბაბი საპყრობილეში შექმნილი კომუნალური პრობლემები აღმოჩნდა; რეალური მიზეზი კი ახალ ციხეში ძველი ტრადიციების გადმოტანის მოთხოვნა იყო.

ქუთაისის ახალმა საპყრობილემ ფუნქციონირება, ოფიციალურად, 20 დეკემბერს დაიწყო. შესაბამისად, ძველიდან ახალ დაწესებულებაში პატიმრების პირველი ნაკადის ექსტრადირება მოხდა. ქუთაისის ციხის მორიგი პრეზენტაცია იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ მოახდინა. პირველ ეტაპზე ახალ დაწესებულებაში წინასწარდაკავებულების, ე.წ. მიუსჯელების ასკაციანი ჯგუფი გადაიყვანეს. ამ კატეგორიის განსასჯელების ადაპტირება ციხის ახალ გარემოსთან და ადმინისტრაციის ახალ მოთხოვნებთან წესით არ უნდა გართულებულიყო, მაგრამ პირველივე დღე პატიმრებმა პროტესტით დაიწყეს, ოღონდ შედარებით მსუბუქი ფორმებით - საკნების კარებზე ბრახუნითა და ყვირილით. როგორც ჩანს, ციხის "საზეიმო" პრეზენტაციის ჩაშლის მცდელობა პატიმრებს მოგვიანებით ადმინისტრაციამ არც ისე მსუბუქად მოჰკითხა ("ბუნტოვშიკ" პატიმრებთან სიტუაციის "გარკვევის" დირექტივა ქუთაისის ციხის უფროსმა ზედამხედველებს ჟურნალისტების თანდასწრებით მისცა), რადგან მეორე დილით სასეირნო ბილიკზე გაყვანილი პატიმრები ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობისგან შველას ყვირილით ითხოვდნენ.

პატიმრებთან საშველად ციხეში სახალხო დამცველის რწმუნებული და საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოს წევრები მივიდნენ.

"ის მოთხოვნები, რასაც პატიმრები აყენებდნენ წყლისა და გათბობის უზუნველყოფის კუთხით, პრაქტიკულად, უკვე მოგვარებულია. უნდა გითხრათ, რომ მათ საკნებში არც ისეთი სიცივე იყო, რადგან პატიმრები შიგნით საკმაოდ თხელი მაისურებით ისხდნენ; თბილი საბნებიც შეტანილი ჰქონდათ და თუ სციოდათ, შეეძლოთ, ესენი გამოეყენებინათ, ვიდრე გათბობის ქსელს შეაკეთებდა ციხის ადმინისტრაცია. მაგრამ, აქ სულ სხვა მოტივი იყო," - აცხადებს სახალხო დამცველის რწმუნებული იმერეთის მხარეში გიორგი მშვენიერაძე "24 საათთან" საუბარში.

როგორც ირკვევა, ამ სხვა მოტივის საფუძვლებს ქუთაისის ძველ ციხეში დარჩენილი სამი "კანონიერი ქურდის" კვალთან მივყავართ. ახალ ციხეში ექსტრადირებული პატიმრები მათთან ერთად ე.წ. "მაყურებლების" გადაყვანასაც მოითხოვდნენ. მოთხოვნების ნუსხაში შედიოდა, პატიმრებისთვის მობილური ტელეფონების ქონაზე და სასეირნო ბილიკზე ყველა პატიმრის ერთობლივ "გასეირნებაზე" ნების დართვა.

"ამ პატიმრების მოთხოვნები ეწინააღმდეგება იმ რეფორმას და კონცეფციას, რომელიც მიღებული და დამტკიცებული იქნა და რომელსაც ჩვენ აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ. ახალ საპყრობილეში არავითარი "მაყურებლები" აღარ იქნებიან. რაც შეეხება ე.წ. "კანონიერი ქურდების" გადაყვანას ახალ ციხეში, ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან ქუთაისის ძველ დაწესებულებაში საპყრობილის რეჟიმზე, მათი ახალ საპყრობილეში გადაყვანა მოხდება ეტაპობრივად ამ დღეების განმავლობაში. ჩვენი პოზიცია ურყევია იმასთან მიმართებაში, რომ ის რეფორმები, რომლის კურსიც ავიღეთ, უნდა გავატაროთ," - აცხადებს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე "24 საათთან" საუბარში.

ქუთაისის ახალ საპყრობილეში, პატიმრების პირველი ნაკადის ბუნტის მიუხედავად, განსასჯელთა მეორე 100-კაციანი ჯგუფის ექსტრადირებაც განხორციელდა. ქუთაისის ახალ საპყრობილეში ამჟამად 200 პატიმარია. ძველ ციხეში დარჩენილი კიდევ 300 პატიმრის გადაყვანა ეტაპობრივად უახლოეს დღეებში უნდა განხორციელდეს. მანამდე კი ძველ საპყრობილეში 45 წლის პატიმარი ავთანდილ ჭანტურიძე გარდაიცვალა. ჭანტურიძე სასჯელს ძრობის ქურდობის გამო იხდიდა. ოფიციალური უნფორმაციით, ის გულის ინფარქტით გარდაიცვალა.

რაც შეეხება ქუთაისის ძველ საპყრობილეში მყოფ სამ "კანონიერ ქურდს", არაოფიციალური ინფორმაციით, მათ ახალ საპყრობილეში არ გადაიყვანენ.

უცხოეთი

ძლიერი ჩინეთი - საფრთხე მეზობლებისთვის

პირველი გვერდიდან

თუ კარგად დავფიქრდებით, ეს რას ნიშავს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ საფრთხე მართლაც სერიოზულია."

ოქტომბრის ბოლოს თანამდებობაზე დანიშნულ მინისტრს ასეთი განცხადების გაკეთება ოპოზიციის ლიდერის სეიჯი მაეჰერას გამონათქვამის კომენტირებისას მოუხდა. **"როგორც ბატონმა მაეჰერამ აღნიშნა, ჩინეთი მართლაც იძლევა შეშფოთების და საფრთხის საფუძველს,"** – დასძინა იაპონიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

უნდა ითქვას, რომ იაპონიის ხელისუფლება უკვე რამდენიმე წელიწადია, ჩინეთის სამხედრო ძლიერების ზრდას ნომერ პირველ საზრუნავად აღიქვამს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ აქამდე ამის შესახებ გულახდილად არავის უსაუბრია, მით უმეტეს, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს.

ბუნებრივია, იაპონელი დიპლომატის "გულახდილობამ" შესაბამისი რეაქცია გამოიწვია პეკინში. **"ის რომ, საგარეო საქმეთა მინისტრი ასე უპასუხისმგებლოდ იყენებს ყოვლად დაუსაბუთებელ რიტორიკას, რა უნდა იყოს ამის მიზეზი?"** – იკითხა გუშინ სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლების სახელით მთავრობის წარმომადგენელმა ცინ განმა. **"ყველასათვისაა ცნობილი ის წვლილი, რომელიც ჩინეთის განვითარებამ შეიტანა მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში. გარდა ამისა, მან (განვითარებამ) ახალი, უზარმაზარი შესაძლებლობები მისცა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს, მათ შორის იაპონიასაც,"** - ამბობს ცინ განი.

ბოლო დროს იაპონიასა და ჩინეთს შორის ურთიერთობები მკვეთრად გაუარესდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ჩინეთის მთელ ტერიტორიაზე არ შემწყდარა ანტიიაპონური გამოსვლები, რომლის დროსაც ჩინეთში მყოფ იაპონელებზეც (მათ შორის დიპლომატებზე) მოხდა თავდასხმები.

პეკინის განცხადებით, რიგით ჩინელთა აღშფოთება იასუკუნის ტაძარში იაპონიის პრემიერ-მინისტრის ძუნიტურო კოიძუმის გახშირებულმა ვიზიტებმა გამოიწვია. საქმე ისაა, რომ იასუკუნის ტაძარში განისვენებენ მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული იაპონელი სამხედროები – მათ შორის, ის ხალხი, ვისაც აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების წარმომადგენლები სამხედრო დამნაშავეებად მიიჩნევენ. ასე რომ, ძუნიტირო კოიძუმის მიერ მათთვის პატივის მიგება, პეკინში მეორე მსოფლიო ომის შესახებ ისტორიის შეცვლის მცდელობად აღიქვეს. უფრო მეტიც, იგივე საბაბის გამო, ჩინეთმა ახლახან იაპონიასთან ერთად მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომაზეც კი თქვა უარი მალაიზიაში.

პატრიოტიზმის კიდევ ექვსი თვე

აშშ-ს სენატმა მიიღო გადაწყვეტილება, ექვსი თვით გაახანგრძლივოს ე.წ. "პატრიოტული აქტის" მოქმედება – კანონისა, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სპეცსამსახურების უფლებებს აფართოებს.

აშშ-ს სენატის გადაწყვეტილებას, რომელსაც ძალაში შესასვლელად წარმომადგენელთა პალატის თანხმობა სჭირდება, მიმომხილველები უკვე განიხილავენ კომპრომისად თეთრ სახლსა და სპეცსამსახურების უფლებების გაზრდის მოწინააღმდეგეთა შორის.

მანამდე ჯორჯ ბუშმა "პატრიოტუილი აქტის" უვადოდ მიღება მოითხოვა, თუმცა დემოკრატიულმა პარტიამ და ზოგიერთმა რესპუბლიკელმაც მიიჩნია, რომ ეს მოთხოვნა ადამიანის უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვის გარანტიებს ზღუდავდა.

შეგახსენებთ, "პატრიოტული აქტი" 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ მოკლე ხანში მიიღეს და იგი სპეცსამსახურებს გაფართოებულ უფლებებს ანიჭებდა ეჭვიმიტანილებზე თვალთვალისას და შესაძლებლობას აძლევდა, გაეკონტროლებინათ პირადი ინფორმაცია ნებისმიერ ამერიკელზე. მაშინ კონგრესმა დაადგინა, რომ კანონს ოთხი წლის შემდეგ (ანუ წელს) ხელმეორედ უნდა გაევლო დამტკიცების პროცედურა.

გუშინ ამერიკის პრეზიდენტი, მართალია, მიესალმა სენატის გადაწყვეტილებას, მაგრამ, ბუნებრივია, რეზოლუციას მაინც განიხილავს თეთრი სახლის დამარცხებად.

"პატრიოტიზმის შესახებ კანონზე მუშაობა კონგრესს არ დაუმთავრებია, - ამბობს ბუში, - **მომავალ ზაფხულს ეს კანონი ძალას დაკარგავს, მაშინ, როცა ამ დროისთვის ტერორისტული საფრთხე ამერიკის მისამართით არ გაქრება. მინდა კონგრესთან ერთად განვაგრძო მუშაობა, რათა ამ კანონის მოქმედება კიდევ გაგრძელდეს".**

თეთრი სახლი ყველა ღონეს ხმარობს, რათა ტერორიზმის წინააღმდეგ ამერიკულ სპეცსამსახურებს გაფართოებული უფლებები კვალავაც დარჩეთ. ერთ-ერთ კომპრომისად განიხილება დროებითი სტატუსის მინიჭება აღნიშნული კანონის ისეთი დებულებებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტ კამათს იწვევს. მათ შორისაა პუნქტები ტელეფონების მოსმენის, კონფიდენციალური საქმიანი და სამედიცინო დოკუმენტაციის ამოღების, ასევე ინფორმაციის შესახებ, თუ ვინ რა წიგნს კითხულობს ბიბლიოთეკაში.

24 საათი

საფრანგეთი ტერორიზმის წინააღმდეგ ზომებს ამკაცრებს

საფრანგეთის პარლამენტმა ხუთშაბათს საბოლოო მოსმენით მიიღო კანონპროექტი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. კანონპროექტის ინიციატორი შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკოლა სარკოზია.

კანონპროექტი 202 ხმით 122-ის წინააღმდეგ გავიდა. შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივას მხარი პარლამენტის ზედა პალატის - სენატის მემარჯვენე-ცენტრისტული ფრთის წარმომადგენლებმა დაუჭირეს, ხოლო წინააღმდეგნი მემარცხენე ოპოზიციონერები იყვნენ, რომელთათვისაც აღნიშნული კანონპროექტი არადამაკმაყოფილებელი იყო. საბოლოო კენჭისყრამდე კი კანონპროექტი პარლამენტის ქვედა პალატის წარმომადგენლების უმრავლესობამ მოიწონა.

მიღებული კანონი საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რკინიგზის სადგურებსა და აეროპორტებში ვიდეოკამერების დაყენებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ვიდეოკამერები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც - კინოთეატრებსა და სხვადასხვა რელიგიური დანიშნულების შენობებში დამონტაჟდება. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგების მობილიზება ტერორიზმის წინააღმდეგ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, ახალი კანონი მობილური ტელეფონებისა და ინტერნეტქსელების გაკონტროლებასაც ისახავს მიზნად, კერძოდ, მთელი წლის მანძილზე შეინახება მომხმარებელთა რეგისტრაციის ნომრები და ვადები მონაცემთა ბაზაში.

კანონი ავალდებულებს სატრანსპორტო კომპანიებს სამართალდამცველთა მოთხოვნის შემთხვევაში მგზავრების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და ითვალისწინებს საზღვრის გადაკვეთისას დოკუმენტაციის შემოწმების პროცედურის გამარტივებასაც. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მგზავრის დაკავება მოხდება ეჭვმიტანილის სტატუსით, წინასწარი პატიმრობის ვადა 4 დღიდან 6 დღემდე გაიზარდა.

კანონის ცალკეული მუხლი კი პრეფექტებს აძლევს უფლებას, არ დაუშვან საფეხბურთო მატჩებზე სპორტის ამ სახეობაზე ფანატიკურად შეყვარებული გულშემატკივარები, სამი თვის მანძილზე მათი ეჭვმიტანილ პირად ცნობის შემთხვევაში.

გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს საფრანგეთის მოქალაქეობის მოთხოვნაზე განცხადების განხილვის ვადის გახანგრძლივებასა და იმ პირთა საფინანსო ანგარიშების ბლოკირებას, რომლებიც ტერორიზმის დაფინანსებაში არიან ეჭვმიტანილნი.

ყოველივე ზემოჩამოთვლილის გათვალისწინებით, მემარცხენე ოპოზიციამ ახალი კანონი "ინდივიდუალური თავისუფლების შეზღუდვისკენ" მიმართულ ღონისძიებად შეაფასა. ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში საკონსტიტუციო საბჭოს ახალი კანონის გადახედვის მოთხოვნით მიმართავენ. **რიანოვოსტი**

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ერაყს ეწვია

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, ტონი ბლერი მოულოდნელი ვიზიტით ერაყში ჩავიდა. როგორც "ბი-ბი-სი" იუწყება, პრემიერი, სავარაუდოდ, ბასრაში დისლოცირებულ ბირტანული სამხედრო კონტინგენტის წარმომადგენლებსა და აშშ-ს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელ პირებს შეხვდება.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, ტონი ბლერის ვიზიტის მიზანი ერაყში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი მდგომარეობის განხილვაა. გარდა ამისა, ტონი ბლერი ერაყში დისლოცირებულ ბრიტანეთის სამხედრო მოსამსახურეებს დამდეგ შობის დღესასწაულსაც მიულოცავს. ანალოგიური ბლიც-ვიზიტით დიდი ბრიტანეთის პრემიერი ერაყს გასულ წელსაც ესტუმრა.

რაც შეეხება ბრიტანული კონტინგენტის გამოყვანას ერაყიდან, ამ საკითხზე კომენტარისაგან დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იკავებენ.

"ეს საკითხი მანამდე არ დადგება დღის წესრიგში, ვიდრე ერაყის ახალი მთავრობა ეფექტიან სახელისუფლებო და ძალოვან სტრუქტურებს არ ჩამოაყალიბებენ", - აღნიშნავენ ბრიტანეთში. ქვეყანაში ვითარების გაკონტორლების გადაბარების პროცესს კი ბრიტანელები "ერაყიზაციის" სახელწოდებით მოიხსენიებენ. **ბი-ბი-სი**

Kuzanov Clinic
INN
კუზანოვის კლინიკა

1. რინოპლასტიკა
2. მკერდის კორექცია
3. მკერდის აღდგენითი ოპერაციები მასტექტომიის შემდეგ
4. შუცლის პლასტიკა
5. სახის ცირკულარული დაჭიმვა
6. ლიპოსაქცია
7. კელოიდური ნაწიბურების მოცილება
8. დამნერობისშემდგომი კონტრაქტურების პლასტიკა
9. შეძენილი და თანდაყოლილი დეფექტების კორექცია
10. პერიფერიული ნერვების მიკროქირურგიული აღდგენა
11. ვარიკოზული ვენების ამოკვეთა
12. ადენოიდებისა და პოლიპების ენდოსკოპიური ამოკვეთა
13. მხედველობის ქირურგიული კორექცია
14. ოპერაციები მენისკებზე

თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმია
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

პოსტსაბჭოთა ევროპა

პირველი გვერდიდან

თუმცა, "ევროსკეპტიკოსი" ლატვიაში დღესაც ბევრია. ევროინტეგრაციამ მართლაც მოიტანა ფასების ზრდა. პირველადი მოხმარების საქონელი ერთბაშად 30-40 პროცენტით გაძვირდა. ეს იმ ფონზე, როდესაც ხელფასები და პენსიები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

მეწარმეები იმპორტისთვის ბარიერის არარსებობის გამო გაზრდილ კონკურენციას, წარმოებული საქონლის რაოდენობაზე "კვოტების" არსებობას და ევროკავშირიდან წამოსულ ხშირად გაუგებარ დირექტივებს უჩივიან. რიგის ქუჩებში მიგრანტები, ჯერჯერობით, მასობრივად არ ჩანან, თუმცა სამუშაო ძალის ლატვიიდან ევროპის ქვეყნებში მიგრაციამ სერიოზული მასშტაბები მიიღო.

ლატვიის სეიმის სპიკერი ინგრიდა უდრე ქვეყნის ევროკავშირში და ნატოში შესვლას ისტორიულ გადაწყვეტილებებს უწოდებს, თუმცა იქვე ბრიუსელიდან მოსული ზიგიერთი დირექტივით უკმაყოფილებასაც გამოხატავს.

"ევროკავშირის დირექტივები სხვადასხვაგვარია. მაგალითად, როგორი პომიდორი უნდა მოვიყვანოთ, რამდენი თევზია ერთ კილოგრამში და ა. შ. ეს ცხოვრებას ართულებს. ჩვენი მეწარმეები სწორად ვერ იგებენ დირექტივებს ჰიგიენური სტანდარტების შესახებ, იმიტომ, რომ ხედავენ, ამ სტანდარტებს ევროკავშირშიც კი არ იცავენ. ჩვენი ჩინოვნიკები მატარებლის წინ გარბიან და დირექტივებს თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებენ," - აცხადებს ინგრიდა უდრე.

თუმცა, იქვე ყურადღებას ამახვილებს, რომ ლატვია ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრია და მისი წარმომადგენლები ევროკავშირის სტრუქტურების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ, რაც მათ საშუალებას აძლევს, ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებაზე იზრუნონ.

"ევროოპტიმისტების" სასარგებლოდ საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრები მეტყველებს. 2004 წლიდან მოყოლებული, ლატვიამ ევროკავშირის მხრიდან, სხვადასხვა პროექტების ფარგლებში, 856 მილიონი ევრო მიიღო. 2006 წელს, ევროკავშირის ახლადდამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად, მილიარდ ევროზე მეტს მიიღებს, საწევრო გადასახადის სახით კი 145 მილიონ ევროს შეიტანს.

განსაკუთრებული ადგილი ევროკავშირის დაფინანსებაში სასოფლო სამეურნეო წარმოების სუბსიდირებას უკავია. მთავარი პრინციპი ასეთია: ფერმერს, რომელიც საკუთარ წარმოებაში ინვესტიციას ჩადებს (შეიძენს ტრაქტორს, დადგამს მინი-ქარხანას და სხვ.), დახარჯული თანხა ევროკავშირის მიერ გამოყოფილი სახსრებიდან ასი პროცენტით უნაზღაურდება. ასე რომ, ლატვიელმა გლეხებმა ევროინტეგრაციისაგან ყველაზე მეტი სარგებელი მიიღეს, იმის მიუხედავად, რომ ინტეგრაციის მოწინააღმდეგეთა შორის სწორედ სოფლის მოსახლეობა სჭარბობდა. 2004 წელს ამისთვის 152 მილიონი, ხოლო 2005 წელს – 230 მილიონი გამოიყო.

ევროკავშირის თანხებითვე მოხდა საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაცია და ნაგავსაყრელების ეკოლოგიურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ცალკე თემაა ლატვიის საავტომობილო გზები, როგორც ევროინტეგრაციის ყველაზე ხელშესახები შედეგი. ლატვიის საგზაო მიმოსვლის სამინისტროს პროექტების მენეჯერის იურის ტაურინშის თქმით, ლატვიაზე ევროკავშირის ნომერ პირველი საავტომობილო დერეფანი გაივლის. მშენებარე მაგისტრალი, სამივე ბალტიის ქვეყნის გავლით, ვარშავას, ვილნიუსს, რიგასა და ტალინს ერთმანეთთან დააკავშირებს.

რიგიდან 40 კილომეტრში, ზღვისპირა საკურორტო ქალაქ საულკრასტის გარშემო შემოვლითი გზა შენდება. ეს საერთო ევროპული დერეფნის ერთ-ერთი რთული მონაკვეთია, არსებული გზის გადატვირთულობის გამო, და დღეისათვის - ყველაზე მასშტაბური მშენებლობა. "Via Baltica"-დ წოდებული მაგისტრალის ეს 24-კილომეტრიანი მონაკვეთი 106 მილიონი ევრო ჯდება. თანხის 60 პროცენტს ევროკავშირი ფარავს. **"ლატვიის ბიუჯეტს ასეთი მასშტაბის პროექტის განხორციელების საშუალება არ ჰქონდა,"** - განმარტავს იურის ტაურინში.

გარდა ამისა, ევროკავშირის დაფინანსებით, ლატვიის გზების მრავალი მონაკვეთის მოდერნიზება, ახალი ხიდების, გვირაბებისა და სხვა საგზაო ნაგებობების მშენებლობა მიმდინარეობს. ჯამში, გზის მშენებლობისათვის ევროკავშირმა უკვე 220 მილიონ ევრომდე გამოყო.

პურპროდუქტების საწარმო "Hanzas maiznica" რიგის ერთ-ერთი იმ საწარმოთაგანია, ვინც მიმდინარე ცვლილებებს დროზე აუღო ალღო და, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ჯერ კიდევ ევროკავშირში გაწევრიანებამდე ერთი წლით ადრე, ტექნიკურად გადაიარაღდა. თუმცა ქარხნის თანამშრომლები პროდუქციის გაძვირებაზე (ზოგიერთ სახეობაზე 50 პროცენტითაც), წარმოების კვოტებით შეზღუდვაზე და მძიმე სოციალურ პირობებზე საუბრობენ. **"ჩვენს წარმოებას ზღუდავენ და თავიანთი პროდუქცია შემოაქვთ,"** – ასე ხედავენ ისინი ევროინტეგრაციის შედეგებს.

ლატვიის პარლამენტის სპიკერი ინგრიდა უდრეც აცხადებს, რომ სოციალური პრობლემები ქვეყნის მთავარი სატკივარია. **"ეკონომიკა ვითარდება, ბიუჯეტი კი საიმისოდ მაინც არ გვყოფნის, რომ ხელფასები საკმარისად გაიზარდოს და ყველა საჭირო ხარჯები ეყოს,"** - აცხადებს სპიკერი.

საქართველოდან ჩასული ადამიანისთვის თვალშისაცემი კეთილდღეობის გარეგნული ნიშნების მიუხედავად, ლატვიელები ხშირად გაჭირვებას უჩივიან. მინიმალური ხელფასი და პენსია აქ 80 ლატია (დაახლოებით, 150 დოლარი). თუმცა, ევროპული ფასების პირობებში ეს სულაც არაა ევროპული ხელფასი. საარსებო მინიმუმი აქ ერთ სულზე 90 ლატია.

25 წლის ვალდისი დღისით მანქანით ავეჯს დაატარებს, ღამით კი ბარებსა და კლუბებში სიარულით ერთობა. ის ამბობს, რომ 300-ლატიანი ხელფასი მას არ ჰყოფნის. **"საერთოდ, ევროკავშირმა ჯერჯერობით ბევრი არაფერი მოიტანა. ფასები ისე ავარდა, რომ მოსახლეობას გაუჭირდა. რა თქმა უნდა, დადებითი ცვლილებები არის, თუმცა მდგომარეობა უკეთესობისკენ გაცილებით ნელა იცვლება, ვიდრე ჩვენ ველოდით,"** – ამბობს ვალდისი.

ბევრმა ლატვიელმა ევროინტეგრაციის კიდევ ერთი დადებითი მხარით ისარგებლა და სამუშაოდ უცხოეთში გაემგზავრა. ლატვიის მოქალაქეებს საზღვრები ერთ-ერთმა პირველმა ირლანდიამ გაუხსნა და ყველაზე მეტ ლატვიელ შრომით მიგრანტს დღეისთვის სწორედ ეს ქვეყანა "მასპინძლობს". გავრცელებული ცნობებით, ირლანდიაში უკვე 40 ათასამდე ლატვიელი დასაქმდა.

თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავიანთ სოციალურ მდგომარეობას ლატვიელები არა საბჭოთა კავშირის "უძრაობის ხანას", არა დსთ-ს ქვეყნებს, არამედ მათი უშუალო მეზობელ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ადარებენ. ამ მხრივ კი უკმაყოფილების საფუძველი ნამდვილად აქვთ.

ევროს ზონაში შესვლას ლატვია 2008 წელს გეგმავს. თუმცა, ადგილობრივ ექსპერტებს ამ გეგმის რეალურობაში ეჭვი შეაქვთ. წელს ინფლაციამ ქვეყანაში 7 პროცენტი შეადგინა. ევროს შემოღებისათვის კი მისი 2,2 პროცენტამდე დაყვანაა საჭირო.

საგარეო საქმეთა მინისტრი არტის პაბრიკსი.

სეიმის სპიკერი ინგრიდა უდრე.

ევროკავშირის დაფინანსებით აშენებული გზები.

ორად გაყოფილი საზოგადოება

ლატვიის მოსახლეობის 40 პროცენტამდე ე. წ. "რუსულენოვანი მოსახლეობაა", რომლის უმრავლესობას ეთნიკური რუსები შეადგენენ. 1991 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ლატვიის სახელმწიფომ 1940 წლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ჩამოსახლებულ პირებსა და მათ შთამომავლებს მოქალაქეობაზე უარი უთხრა. კანონის თანახმად, მოქალაქეობის არმქონე პირებმა (რომლებსაც "არამოქალაქეებსაც" უწოდებენ) ნატურალიზაციის პროცედურა უნდა გაიარონ – ჩააბარონ გამოცდები ლატვიურ ენასა და ისტორიაში. "არამოქალაქესაც" აქვს პასპორტი, შეუძლია საზღვარგარეთ მოგზაურობა, თუმცა ის ვერ იღებს მონაწილეობას არჩევნებში, ვერასდროს იმუშავებს სახელმწიფო სტრუქტურებში, ექიმად ან ადვოკატად. სანამ ლატვიური ჯარი გაწვევის წესით კომპლექტდებოდა, მოქალაქეობის არმქონე პირები არც სამხედრო სამსახურს გადიოდნენ. არამოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობა ამჟამად მხოლოდ "მესამე ქვეყნების" მოქალაქეების სტატუსით შეუძლიათ.

ლატვიის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ არამოქალაქეების დიდ ნაწილს ნატურალიზაცია პრინციპულად არ სურს.

"ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული. ვერავის აიძულებ, მოქალაქეობა მიიღოს. დამოუკიდებელ ლატვიაში დაბადებული ბავშვები მოქალაქეობას ავტომატურად მიიღებენ. თუმცა, მოქალაქეობის არმქონე პირთა დიდ ნაწილს ყოფილი საბჭოთა ოფიცრები და მათი ოჯახები შეადგენენ, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს აქ თავისუფლად სახლდებოდნენ. ისინი პატივს არ სცემენ სახელმწიფოს, სადაც ცხოვრობენ, არ სწავლობენ ენას, არ სურთ ლატვიის ჯარში სამსახური," - აცხადებს სეიმის სპიკერი ინგრიდა უდრე.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ლატვიისგან ეროვნული უმცირესობების დაცვას მკაცრად ითხოვს. თუმცა, ლატვიის ხელისუფლება ამ საკითხში პრინციპულობას იჩენს და რუსულენოვან მოსახლეობას ეროვნულ უმცირესობად არ აღიარებს.

"პრობლემა ეხება არა ეროვნულ უმცირესობას, არამედ იმიგრანტებსა და მათი შთამომავლებს," - განმარტავს საგარეო საქმეთა მინისტრი არტის პაბრიკსი. მისი თქმით, "არამოქალაქეების" პრობლემა არა ადამიანის უფლებების, არამედ პოლიტიკური საკითხია. ასევე პოლიტიკურ პრობლემად მიიჩნევს ამ საკითხს სეიმის სპიკერი, რომელიც აცხადებს, რომ ლატვიაში ძირითადი ეროვნული უმცირესობა მცირერიცხოვანი ლივები არიან, და არა გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი რუსები.

"ადგილობრივმა რუსებმა მხარი დაუჭირეს ლატვიის დამოუკიდებლობას, მაგრამ ხელისუფლება და პოლიტიკოსები ჩვენში მაინც მტერს ეძებენ. მათი მხრიდან რადიკალური განცხადებებიც ისმის – შეჩერდეს ნატურალიზაცია, ჩამოერთვათ მოქალაქეობა მათ, ვინც ეს პროცედურა უკვე გაიარა," - აცხადებს ქსენია ზაგოროვსკაია, ყოველდღიური რუსულენოვანი გაზეთის "ჩას"-ის რედაქტორი.

მისი ინფორმაციით, 1991 წელს ლატვიაში 600 ათასი არამოქალაქე იყო. დღეისათვის კი, ნატურალიზაციის შედეგად, მათი რიცხვი 400 ათასამდე შემცირდა. აქედან 150 ათასი ძალიან ასაკოვანი ადამიანია, ვისაც მოქალაქეობის მიღების რთული პროცედურის გავლა არ სურს. მისი თქმით, ადგილობრივი რუსების დაახლოებით 25 პროცენტი ე. წ. "ძველი რუსები" არიან, რომელთა წინაპრებიც ლატვიაში ოკუპაციამდე ცხოვრობდნენ. მათ მოქალაქეობა ავტომატურად მიიღეს.

ადგილობრივ რუსებს საკუთარი პრესა და ტელეარხები აქვთ, დაუბრკოლებლად უყურებენ რუსეთის ტელევიზიის გადაცემებს. ბევრი მათგანი მთლიანად რუსულ საინფორმაციო სივრცეზეა ორიენტირებული და თავისი ქვეყნის რეალიებში ნაკლებად ერკვევა. საქმე იქამდეც მიდის, რომ რუსები და ლატვიელები სხვადასხვა ბარებსა და კლუბებში დადიან და მხოლოდ "თავიანებს" ეკონტაქტებიან. ლატვიაში ერთმანეთის პარალელურად თითქოს ორი სხვადასხვა ქვეყანა არსებობს. თუმცა, აშკარა კონფლიქტამდე საქმე არასდროს მისულა.

2004 წელს დაპირისპირება ორად გახლეჩილ საზოგადოებაში უკიდურესად გამწვავდა. ძალაში შევიდა ჯერ კიდევ 1998 წელს მიღებული კანონი სასკოლო რეფორმის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ყველა საგნის სწავლება საშუალო სკოლებში ლატვიურ ენაზე უნდა გადასულიყო.

შარშან 100 ათასამდე მოსწავლე რიგის ქუჩებში გამოვიდა და უპრეცედენტო გამოსვლები მოაწყო. ქსენია ზაგოროვსკაია აცხადებს, რომ გამოსვლების მიზეზი არა იმდენად ლატვიურ ენაზე სწავლის წინააღმდეგ პროტესტი, არამედ "სწავლის ხარისხის" პრობლემა გახდა. მისი თქმით, ლატვიურ ენაზე ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა არსებული კადრებით შეუძლებელია. **"სახელმძღვანელოები ხშირად სასაცილოა, სავარჯიშოები ჟარგონული სიტყვებითაა დაწერილი,"** - ამბობს ზაგოროვსკაია. მისი თქმით, ამჟამად გამოსვლები აღარაა, მაგრამ პრობლემა პრობლემად დარჩა. ყველა, ვისაც საშუალება აქვს, რეპეტიტორს ქირაობს და ენაში ემზადება. **"რუსული მოსახლეობისთვის ასეთი დამოკიდებულება ძალიან საწყენია. ხელისუფლება დიალოგზე არ წამოვიდა. ევროპულ ქვეყნებში ასე არ ხდება,"** - აცხადებს ზაგოროვსკაია.

სასკოლო რეფორმებზე და რუსულენოვანი მოსწავლეების პროტესტზე საუბრისას სეიმის სპიკერი ინგრიდა უდრე აცხადებს, რომ **"პოლიტიკური თამაშებისათვის ბავშვების გამოყენება დაუშვებელია."**

მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა, ბრალდებები, რასაც ოფიციალური მოსკოვი ლატვიას რუსულენოვანი მოსახლეობის "ჩაგვრის" გამო უყენებს, ხშირად ადგილობრივი რუსებისთვისაც გაუგებარია. **"კრემლის მცდელობები, "დაიცვას" რუსულენოვანი მოქალაქეები, უდროო და უცნაურია. ეს პროპაგანდაა და რეალურ ცხოვრებასთან საერთო არაფერი აქვს,"** - ამბობს ზაგოროვსკაია.

იგი აცხადებს, რომ მოქალაქეობის მიღებისათვის ერთადერთი პირობა ენის ცოდნა არ არის, და ხელისუფლება მოქალაქეობის მიღების მსურველებს მრავალ "ხელოვნურ წინააღმდეგობას" უქმნის. თუმცა ამ "წინააღმდეგობების" კონკრეტულად დასახელება უჭირს.

"მათ ძალაუფლების დათმობა არ სურთ," - ასე ხსნის ლატვიელი პოლიტიკოსების მოტივებს ზაგოროვსკაია. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპარლამენტში ლატვიიდან არჩეული ცხრა დეპუტატიდან ერთ-ერთი - რადიკალური რუსული ორგანიზაციის ლიდერი და საკმაოდ ოდიოზური ფიგურაა, ლატვიელების შიშიც გასაგებია. მრავალი რუსულენოვანი პოტენციური ამომრჩეველი არა მარტო ხელისუფლების კურსის მიმართ, არამედ საერთოდ, ლატვიის სახელმწიფოს მიმართ მკვეთრ ოპოზიციაშია.

თუმცა ლატვიელები იმასაც ამბობენ, რომ რუსების ახალგაზრდა თაობას ლატვიაში არც ენის და არც სახელმწიფო თვითიდენტიფიკაციის პრობლემები აქვს, და თაობათა ცვლა, ადრე თუ გვიან, პრობლემას საბოლოოდ მოხსნის.

რუსული ფაქტორი

რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის საბაბით, რუსეთის მხრიდან ლატვიაზე ზეწოლის გარდა, ორი ქვეყნის ურთიერთობაში სხვა პრობლემებიც არსებობს. ლატვიის კატეგორიული მოთხოვნა 1940 წლის ოკუპაციის აღიარებაა. **"რუსეთი ოკუპაციას არ ცნობს და აცხადებს, რომ დამოუკიდებლობა მხოლოდ ახლა მოვიპოვეთ,"** - ამბობს სეიმის სპიკერი.

გარდა ამისა, არსებობს საზღვრის პრობლემაც, რომელიც ორ ქვეყანას შორის საბოლოოდ დადგენილი ჯერ არ არის. თუმცა ლატვიას, საქართველოსგან განსხვავებით, რუსეთი ამჟამად დიდ პრობლემებს ვერ უქმნის და ადგილობრივი ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ყველა სადავო საკითხი, ადრე თუ გვიან, მოგვარდება. **"ამ ყველაფერს დრო სჭირდება,"** - აცხადებს ინგრიდა უდრე. თავის მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრი არტის პაბრიკსი ამბობს, რომ **"ის საკითხები, რომელზეც რუსეთი თანახმა არაა, მოიცდის. საკითხები შეიძლება ცალ-ცალკე მოვაგვაროთ."** იგი უარყოფს მოსკოვის მხრიდან ბრალდებას ახლახან კიევში დაფუძნებული "დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის" მიმართ, რომელშიც ბალტიის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, უკრაინასა და საქართველოსთან ერთად, ლატვიაც მონაწილეობს, ამ გაერთიანების "ანტირუსული" ხასიათის თაობაზე. **"რუსეთის საწინააღმდეგოდ ალიანსებს არ ვქმნით. თუ იქნება მეტი დემოკრატია და მეტი კეთილდღეობა, ეს თავად რუსეთის ინტერესებშია,"** – აცხადებს არტის პაბრიკსი.

გაზზე გაცვლილი მეგობრობა

გერმანიისა და რუსეთის ერთობლივმა პროექტმა, რომელიც ბალტიის ზღვის გავლით რუსეთისა და გერმანიის შემაერთებელი გაზსადენის მშენებლობას ითვალისწინებს, ბალტიის ქვეყნებში და მთლიანად აღმოსავლეთ ევროპაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. რადიკალურად ეწინააღმდეგება ამ პროექტს ლატვიის ხელისუფლებაც, იმის მიუხედავად, რომ რუსული გაზის ტრანზიტს ევროპაში თავად არ ახორციელებს.

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ეს პროექტი ლატვიას ეკონომიკურად არ დააზარალებს, თუმცა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემაა. **"ძირითადი პრეტენზიები გერმანიის ყოფილ კანცლერთან შრიოდერთან გვქონდა. თუ ევროკავშირის წევრები და მეგობარი ქვეყნები ვართ, ასეთი გადაწყვეტილებების მიღებამდე მეგობრებს უნდა დაველაპარაკოთ. იმედი გვაქვს, ახალი მთავრობა უფრო მოგვისმენს,"** – აცხადებს არტის პაბრიკსი.

ლატვიის სეიმის სპიკერის თქმით, ევროპის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ენერგოდამოკიდებულებაა. **"ჩვენ ერთად, და არა ცალ-ცალკე, უნდა ვიფიქროთ, როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემები,"** - აცხადებს ინგრიდა უდრე. მას იმედი აქვს, რომ **"საბოლოო გადაწყვეტილება, ალბათ, ჯერ არ არის მიღებული. ჩვენ მაინც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს გერმანიის ახალ მთავრობასთან."**

რიგა - ტურიზმის აღმავლობა

ლატვიის დედაქალაქი დღეს ტურისტულ ცენტრად არის ქცეული. ევროპელებს აქ არა მარტო ძველი ქალაქის სილამაზე და ისტორიული ღირსშესანიშნაობები იზიდავთ, არამედ შედარებით იაფად დროის გატარების შესაძლებლობაც.

ამჟამად რიგაში სამშენებლო ბუმია. დედაქალაქში ერთდროულად 20-მდე ახალი სასტუმრო შენდება. ყველაზე პარადოქსული ის ფაქტია, რომ ამ მშენებლობებზე არ ჰყოფნით მუშახელი. თავად ლატვიელი მშენებლები, უკეთესი პირობების ძებნაში, ევროკავშირის ქვეყნებში მიდიან. ხოლო ლატვიაში მშენებლები როგორც დსთ-ს ქვეყნებიდან, ასევე ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებიდანაც ჩამოდიან.

ქალაქის ხელისუფლებამ ისტორიული უბნების ვიწრო ქუჩების ტრანსპორტით გადატვირთვის პრობლემაც მოაგვარა. ძველ რიგაში შესაღწევად შლაგბაუმიანი პოსტის გავლაა საჭირო, სადაც სპეციალურ ელექტრონულ მოწყობილობაში საშვი უნდა გაატარო. ძველი უბნების მცხოვრებლებს საშვები უფასოდ აქვთ, ხოლო დანარჩენებისათვის ნახევარწლიანი საშვი ათას დოლარამდე ღირს, ერთჯერადი – ოთხ დოლარამდე. გარდა ამისა, პარკირება ისტორიულ უბნებში ძალიან ძვირია და ამის საშუალება ცოტას თუ აქვს.

ამის გამო, სამთავრობო უწყებების თანამშრომლებიც კი ხშირად უარს ამბობენ სამსახურში საკუთარი მანქანით სიარულზე და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობენ. ძველი რიგის ქუჩები, ფაქტობრივად, მთლიანად ფეხით მოსიარულეების განკარგულებაშია.

რა ენატრებათ ლატვიელებს

საქართველოს შესახებ აქ ცოტა რამ თუ ახსოვთ. საუკეთესო შემთხვევაში, მოგონებები 15-20 წლის წინ საქართველოს რომელიმე კურორტზე გატარებულ შვებულებას უკავშირდება. ზოგიერთი იმასაც კითხულობს: როგორაა საქმე გაგრაში ან სოხუმში... ახალგაზრდა თაობამ კი საქართველო უფრო "ვარდების რევოლუციის" შემდეგ გაიცნო.

თუმცა, აქ კარგად ახსოვთ ქართული ღვინოები, იმის მიუხედავად, რომ ნამდვილი ქართული ღვინო აქ დიდი ხანია არ უნახავთ. როგორც ჩანს, ქართველმა მეწარმეებმა ბალტიის ქვეყნების ბაზრისთვის ჯერჯერობით ვერ მოიცალეს. აქაური მომხმარებელი კი საკმაოდ გადახდისუნარიანია და, ევროპელისგან განსხვავებით, ცნობილ ქართულ ბრენდებს – "ქინძმარაულს", "ხვანჭკარას" და... ჭაჭასაც კი ჯერ კიდევ კარგად იცნობს.

ასევე აინტერესებთ ლატვიაში საქართველოს კურორტები, რომელთა შესახებ ინფორმაცია მათ არ აქვთ.

რჩევები და გამოცდილება

"მთავარია, სახელმწიფოსი გჯეროდეთ, გქონდეთ სახელმწიფოს რწმენა!" - ასეთ რჩევას იძლევა ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივებზე საუბრისას. **"ათი წლის წინ ჩვენთან ცოტას სჯეროდა, რომ ევროკავშირში ვიქნებოდით, არავის სჯეროდა, რომ ნატო-ში შევიდოდით,"** - აცხადებს არტის პაბრიკსი.

მისი აზრით, საქართველოს, ისევე როგორც თავის დროზე ლატვიას, რადიკალური და ხშირად არაპოპულარული, მაგრამ ეფექტური რეფორმების გატარება აუცილებლად სჭირდება. **"რეფორმები, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანებისათვის იქნება გასატარებელი, პირველ როგში, თქვენს ქვეყანას სჭირდება,"** - აცხადებს მინისტრი და მაგალითისათვის ლატვიის ძალზე არაპოპულარული საპენსიო რეფორმა მოჰყავს, რომელმაც საწყის ეტაპზე ბევრი მოქალაქე დააზარალა: **"ჩვენ ისეთი სისტემა შევქმენით, როგორიც ევროპის ქვეყნებშია. ახლა სხვები აპირებენ მოგვბაძონ. მთავარია, სწორი სისტემა შეიქმნას და შედეგებს თუნდაც 10 წელიწადი ველოდოთ."**

არტის პაბრიკსი აცხადებს, რომ ლატვიას, რომელიც სწრაფად ვითარდება და წლიურად 10-12-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა აქვს, დღეს საქართველოსათვის სერიოზული დახმარების გაწევა შეუძლია.

ARCI
არსი
ARCI
ARCI
ARCI

საახალწლო ანაბარი

წლიური

11,75%

დოლარი / ევრო

+ საჩუქრად

- საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბარზე დასარიცხ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბარათო ანგარიშზე.

BR ბანკი რესპუბლიკა

29 45 99

ცენტრალური ფილიალი
თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი:(995 32) 590660

ფეხბურთი

ფედერაცია კანცელარიას ბაძავს

საკადრო გადაადგილებები ქართულ ფეხბურთში

ინტერფაქსი

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა აღმასკომის სხდომა, რომელზეც რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. პირველი ის არის, რომ ფედერაციას ახალი გენერალური მდივანი ჰყავს. ეს პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა გრიგოლ ცაავამ. ამბობენ, რომ ის ვიცე-პრეზიდენტის სტატუსით გააგრძელებს მუშაობას, თუმცა, ჯერჯერობით ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის. თავად ცაავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ამჯერად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველის მოვალეობას შეასრულებს.

ახალი გენერალური მდივანი გახდა უჩა უგულავა, რომელსაც ადრე ფეხბურთთან შეხება თითქმის არ ჰქონია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გენერალურ მდივანს საფეხბურთო წარსული და გამოცდილება მაინცდამაინც არ გამოადგება. ამ პოსტზე მომუშავე ადამიანს პირველ რიგში ესაჭიროება კარგი მენეჯერის თვისებები, რითაც უგულავა ნამდვილად დაიკვეხნის. ბოლო დრომდე უჩა უგულავა კომპანია "GWS"-ის მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობდა. იგი ფლობს უცხო ენებს და სოლიდურ ფირმებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე საქმიანობის მდიდარი გამოცდილება აქვს.

მეორე ცვლილება სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს ეხება. ამ კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი დატოვა ანატოლი მილჩენკომ. მისი ადგილი დაიკავა საფეხბურთო წრეებში კარგად ცნობილმა ამირან კაჭახიძემ.

დანაკლისი აქვს ფედერაციის აღმასკომსაც. ალექსანდრე ჩივაძემ საკუთარი სურვილით დატოვა აღმასკომი. ასევე მოიქცა ლევან ყიფიანი, რომელიც თბილისის "ლოკომოტივის" მმართველი დირექტორი გახლდათ.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავების უმთავრეს კანდიდატთან, გერმანელ კლაუს ტოპმიოლერთან დაკავშირებით სიახლე მხოლოდ ის არის, რომ მან საბოლოოდ უარი თქვა ბუნდესლიგის "კიოლნთან" მუშაობაზე. როგორც ცნობილია, გერმანელის მიერ მოთხოვნილი თანხა ქართულმა მხარემ მთავრობის დახმარებით უკვე გამონახა. ახლა სიტყვა თავად ტოპმიოლერზეა, რომელიც 25 დეკემბრამდე გვეტყვის პასუხს.

მარადონამ აეროპორტს გადაუფრინა

გიგა გურასაშვილი

რიო დე ჟანეიროდან ბუენოს აირესში მიმავალი ფეხბურთის ლეგენდა, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტრუმფატორი დიეგო მარადონა რიოს საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. საქმე ისაა, რომ მარადონამ ოთხ მეგობართან ერთად თვითმფრინავზე დააგვიანა, მერე კი...



საქველმოქმედო მატჩის შემდეგ მარადონამ კუბური სიგარაც გააბოლა.

რიგი ბრაზილიური საინფორმაციო წყაროების მიხედვით, შეიტყო რა მარადონამ ის, რომ თვითმფრინავი არ დაელოდა და ისე გაფრინდა, მეგობრებთან ერთად ავიაკომპანიის VIP მოსაცდელი მიანგრ-მოანგრია. ვინაიდან მათი დაშოშმინება ავიაკომპანიის პერსონალის ძალებს აღემატებოდა, უმალ სამართალდამცავებს უხმეს - გვიშველეთო. სამართალდამცავებმაც იყოჩაღეს და "ბუნტავშიკები" რიოს ცენტრში პოლიციის ფედერალურ განყოფილებაში წააბრძანეს.

პოლიციელთა ხელში ჩავარდნილ მარადონასა და კომპანიას მოგვიანებით სამედიცინო შემოწმებაზე უხმეს, რათა გარკვეულიყვნენ იყვნენ თუ არა შარისთავები ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ. ჯერჯერობით უცნობია, სამედიცინო შემოწმებით რა გაირკვა, მაგრამ ერთი რამ წინდაწინვეა ცნობილი, მარადონა და მეგობრები მაშინ გაათავისუფლეს, როდესაც აეროპორტისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას დათანხმდნენ.

აი, მარადონას ყოფილი თანაგუნდელი ალეხანდრო მანკუზო კი, რომელიც თან ახლდა სახელოვან თანამემამულეს, არგენტინულ რადიოსთან საუბარში აცხადებს, რომ მარადონა ძალზე გაწონასწორებულად იქცეოდა და რომ თვითმფრინავზეც არ დაუგვიანია.

"საოცარი რამ მოხდა. დიეგოსთან ერთად აეროპორტში ყველა მშვიდად ვიყავით. შევიარეთ თავისუფალი ვაჭრობის ზონაში. მერე გამოაცხადეს, რომ ჩაჯდომა იწყებოდა. ჩვენც რეგისტრაციისთვის იქით გავეშურეთ, მათ კი თვითმფრინავის კარი ცხვირწინ მიგვიხურეს. მერე კი მართლა გავბრაზდით, რაც ლოგიკურიც და სამართლიანი ქმედება იყო ჩვენი მხრიდან".

მანკუზოსვე განმარტებით, როდესაც ავიახაზების წარმომადგენელს ახსნა-განმარტება მოსთხოვეს, მან პოლიციას გამოუძახა. ესენი კი ხელში პისტოლეტებით შეიარაღებულები მოცვივდნენო.

ახლა რა ხდებოდა რიოში? საქმე ისაა, რომ არგენტინელმა ვეტერანმა ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელის "ფლამენგოს" ოდინდელი ვარსკვლავის, ამჟამად კი იაპონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ზიკოს მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩში 80 წუთი ითამაშა. მარადონასა და ზიკოს გუნდი ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელებით – რენატო გაუჩო, რობერტო დინამიტე, სეზარ სამპაიო, ბებეტო ყოფილა დაკომპლექტებული, მოწინააღმდეგე გუნდი კი მოქმედი ფეხბურთელებით, ისეთებით როგორებიც არიან ედმუნდო ("პალმეირასი"), კარლოს ალბერტო ("კორინთიანსი")...

საქველმოქმედო შეხვედრა 4:4 დასრულებულა, ჰეთ-თრიკით კი თავი გამოუჩენია მოსკოვის ცსკას ბრაზილელ ლეგიონერს ვაგნერ ლავს, რომელიც მარადონასა და ზიკოს გუნდში თამაშობდა.

კალათბურთი

ფაჩულია ო'ნილის წინააღმდეგ

მამუკა ხოშტარია

ზაზა ფაჩულიას "ატლანტას ჰოუქსის" ორმატჩიანი წაუგებელი სერია "მაიამი ჰიტმა" შეწყვიტა. ფლორიდელთა რიგებში სულ ახლახან ტრავმამოშუშებული შაკილ ო'ნილი დაბრუნდა და ამ მატჩის ბედიც სწორედ მან გადაწყვიტა. ზაზა მოედანზე ამ სეზონში პირველად შეხვდა შაკს და, სამწუხაროდ, ვერაფერი მოუხერხა დღეისათვის ალბათ მსოფლიოს საუკეთესო ცენტრფორვარდს. ო'ნილმა 24 წუთში 28 ქულას და 10 მოხსნას მოუყარა თავი. ზაზამ კი 19 წუთში მხოლოდ 3 ქულისა და 2 მოხსნის გაკეთება შეძლო. თამაში "ატლანტას" სასტარტო ხუთეულის არც ერთ წევრს არ წაუვიდა და სათადარიგო მარვინ უილიამსი რომ არა, რომელმაც ამ მატჩში სამი პირადი რეკორდი დაამყარა, საბოლოო ანგარიში 92:111 შეიძლება "ჰოუქსისთვის" კიდევ უფრო დამანგრეველი ყოფილიყო. სამი მეოთხედის შემდეგ თამაშის ბედი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილი იყო, რადგან "მაიამი" 33-ქულიანი სხვაობით იგებდა. "ატლანტა" მხოლოდ ბოლო პერიოდში ათამაშდა და ისიც უმთავრესად იმიტომ, რომ "ჰიტის" ახალდანიშნულმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა პატ რაილიმ მოედანზე სათადარიგოები შეუშვა. ნიკა ცქიტიშვილის "მინესოტა" "დალასთან" დამარცხდა. ნიკას კვლავ არ უთამაშია.

გაგაცნობთ სხვა თამაშების შედეგებს:

"სიეტლი" 83 : 111 "ფენიქსი"
"პორტლენდი" 89 : 93 "დეტროიტი"
"იუტა" 85 : 110 "კლივლენდი"
"სან-ანტონიო" 107 : 109 "მილუოკი"
"დალასი" 102 : 95 "მინესოტა"

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი
INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის
მხარდაჭერის პროგრამა
კანონის უზენაესობის პროგრამა

კონკურსი

ახალგაზრდა ან/და რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ორგანიზაციული განვითარების საკითხებზე ტრენინგ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად

ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა (CSMS), კანონის უზენაესობის პროგრამასთან ერთად აცხადებს კონკურსს ორგანიზაციული განვითარების საკითხებზე ტრენინგ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ ახალგაზრდა ან/და რეგიონალურ არასამთვრობო ორგანიზაციებს.

კონკურსის მიზანია შეირჩეს 20 (ოცი) ახალგაზრდა (ერთი ან ორი წლის) ან/და რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა ლიდერებისთვისაც ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" ორგანიზებას გაუკეთებს ტრენინგების სერიას ორგანიზაციულ მართვასთან და განვითარებასთან დაკავშირებულ შემდეგ თემებზე:

1. სტრატეგიული დაგეგმვა - 3 დღე
2. ორგანიზაციების გამგეობების განვითარება, ლიდერობა და მოტივაცია - 4 დღე
3. პროექტების მომზადება და დაგეგმვა - 5 დღე
4. მონიტორინგი და მისი განხორციელების ინსტუმენტები, წარმატებული მაგალითები - 2 დღე
5. საზოგადოებრივი ინტერესების ადვოკატირება, საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხელისუფლების გამჭვირვალობის ხელშეწყობა - 2 დღე

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. ორგანიზაციის წესდება;
2. ორგანიზაციის წლიური ანგარიში;
3. ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული პროექტებისა და საქმიანობის შესახებ;
4. ორგანიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
5. 2 რეკომენდაცია

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2005 წლის 19 დეკემბრიდან 2006 წლის 3 თებერვლის 17:00 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი 0108, ჭოველიძის ქ. N10. ტელ: 25-04-63, 25-05-92 ფაქსი: 29-10-52, ელ ფოსტა: irakli@osgf.ge. საკონტაქტო პირი: ირაკლი ცერცვაძე, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.

კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება ყოველ პარასკევს 11:00 საათზე ფონდის ოფისში.

** საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ოფისი არ იმუშავებს 2005 წლის 29 დეკემბრიდან 2006 წლის 6 იანვრის ჩათვლით.*

განჩინება

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ვაშაყმაძემ ერთპიროვნულად განიხილა შპს "ბათუმის თამბაქოს კომბინატი"-ს განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

გამოარკვია

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-3, მე-11 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით

დაადგინა:

1. გაიხსნას შპს "ბათუმის თამბაქოს კომბინატი"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება;
2. აეკრძალოს შპს "ბათუმის თამბაქოს კომბინატს" თავისი ქონების განკარგვა;
3. დაინიშნოს შპს "ბათუმის თამბაქოს კომბინატი"-ს გაკოტრების მმართველად თენგიზ ილიას ძე ცინცაძე, დაბადებული 1982 წლის 11 აგვისტოს, მცხოვრები ქ. ბათუმში გამსაცურდიას № 47-ში, ბინა 6-ში (პირადობის მოწმობა № 0473474, ის ვალათუვალი მოვალისა კრედიტორისაგან დამოუკიდებელი პირია და არ ეწევა იგივე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე. არის შესაბამისი გამოცდილების მქონე პირი, მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება);
4. გაკოტრების მმართველს განესაზღვროს გაკოტრების მასის ღირებულების 3,5% გასამრჯელოს სახით;
5. გაკოტრების მმართველს თ. ცინცაძეს გადაეცეს დანიშვნის დოკუმენტი მითითებული უფლებამოსილებით და თავისი უფლებამოსილების დასრულების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტი დაუბრუნოს სასამართლოს;
6. დაევალოს გაკოტრების მმართველს, დაუყონებლივ მიიღოს თავის მმართველობაში გაკოტრების მასა და კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი და შეასრულოს საქართველოს "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები;
7. გაკოტრების მმართველი თ. ცინცაძე თავისი მოვალეობების შესრულებაზე გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის წინაშე პასუხისმგებელი იქნეს. ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ გაკოტრების მმართველი ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მისი ბრალით არ იყო გამოწვეული, დაეკისროს მისი სრული ოდენობით ანაზღაურება;
8. გაკოტრების მმართველის საქმიანობას ზედამხედველობა გაუწიოს გაკოტრების სასამართლომ. სასამართლო მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობისას განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლებს გაკოტრების მმართველს და დანიშნავს სხვა მმართველს;
9. დაევალოს შპს "ბათუმის თამბაქოს კომბინატი"-ს ყველა კრედიტორს აღნიშნული განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ვადის გასვლის შემდეგ განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად;
10. დაევალოს ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ყველა იმ პირს, რომელსაც ვალაუვალი მოვალე ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ;
11. ჩატარდეს შპს "ბათუმის თამბაქოს კომბინატი"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოებისათვის კრედიტორთა პირველი კრება 2006 წლის 3 თებერვალს, 14 საათსა და 30 წუთზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სხდომის დარბაზში, რის შესახებაც პრესის საშუალებით ეცნობოს კრედიტორებს;
12. აეკრძალოს პირს, რომელიც ფლობს შპს "ბათუმის თამბაქოს კომბინატი"-ს საკუთრებაში არსებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება და დაევალოს მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება;
13. დაუყონებლივ ეცნობოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ვალაუვალ მოვალესთან საქმიან ურთიერთობაში მყოფ ბანკებს;
14. სასამართლოს განჩინება გამოქვეყნდეს საქართველოს "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნათა დაცვით;
15. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოაქვეყნებიდან 12 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლოში.

მოსამართლე ნინო ვაშაყმაძე

Call Center
ჩვენი დახმარებით თქვენი ბიზნესი იქნება წარმატებული

Tel:(995 32) 24 45 98
www.ccg.ge

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (ქ. ფოთი 4401, დ. აღმაშენებლის ქ. N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა N117253900, კოდი: 220101535); Bank of Georgia 0105 Tbilisi, Georgia, Cwift: BAGAGE 22, Gorr.acc. "400213605. LTD POTI SEA PORT" აცხადებს ღია კონკურსს ავტო და ტრაქტორმტვირთველებისათვის სხვადასხვა დასახელების სპეც საბურავების შესყიდვაზე და გიწვევთ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.1 შესასყიდი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

- Kalmar DRD 420-60 S5-სათვის 18.00-25 უკამერო - 8 ცალი;

- TOYOTA 02-6 FD 15/18 FVA 451 და 02-7FD15V-სათვის 6,5-10 SE 16 - ცალი; 6,0 - 9,5 SE - 4 ცალი და 5,0 - 8,5 SE - 20 ცალი. საბურავები უნდა იყოს სუპერ ელასტიკი, ჩამოსხმული. 7.00 - 12 პნევმატური, კამერით - 12 ცალი.

2. საქონლის მოწოდების სასურველი ადგილი და ვადა.

- საქონლის მოწოდება სასურველია პირობით CIF ფოთი, საქართველი;
- საქონლის მოწოდების სასურველი ვადა: 2006 წლის 28 თებერვალი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მომწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მომწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2006 წლის 13 იანვრის 1600 საათი.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

4.1 იურდიული პირებისათვის;

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ). ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 იურდიული და ფიზიკური პირებისათვის

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ აქვთ თუ არა დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო ფონდებისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური საქონლის მიწოდება და ღირებულება.

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება **2006 წლის 16 იანვრიდან 2006 წლის 20 იანვრის 1600** საათამდე. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა: **2006 წლის 25 იანვრის 1600 საათამდე.**

8. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგ ენაზე, ქართველმა "მომწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მომწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

9. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია-საკონკურსო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

11. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 3%-ის ოდენობით.

ა. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულებამდე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ხოხობაია

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს მის ბალანსზე რიცხული ტურბოგენერატორის რეალიზების შესახებ

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

- მესაკუთრე - შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური", მისამართი - ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქუჩა N52.
- სარეალიზაციო ქონება- ტურბოგენერატორი გამოშვების წელი 1994, N6ცდზ 874081 ოაცჟ - 2500კვტ
- საწყისი ფასი შეადგენს 35 000 აშშ დოლარს

საკონკურსო პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

კონკურსში მონაწილეობის მიღების აუცილებელი პირობაა "ბე"-ს გადახდა, რომელიც შეადგენს 10000 (ათი ათასი) აშშ დოლარს. "ბე"-ს გადახდა წარმოებს შესაბამისი კურსით ლარებში შემდეგ ანგარიშზე: "საქართველოს ბანკის" ფოთის ფილიალი, ა/ა 117253900, კოდი 220110535.

კონკურსში გამარჯვებულ პირს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება გადახდილად სარეალიზაციო საქონლის ღირებულებაში. დანარჩენ კონკურსანტებს გადახდილი "ბე" უბრუნდებათ უპირობოდ გამარჯვებულის გამოვლენიდან 30 დღის განმავლობაში.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" არ აგებს პასუხს სარეალიზაციო ტურბოგენერატორის ნივთობრივი ნაკლის გამო. ტურბოგენერატორის დემონტაჟი და ფოთის ნავსადგურიდან გატანა ხორციელდება კონკურსში გამარჯვებულის მიერ საკუთარი ხარჯებით და ძალებით.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2005 წლის 27 დეკემბრიდან 2006 წლის 27 იანვრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

განცხადების მიღების დაწყების დღიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს შეამოწმოს ტურბოგენერატორის ტექნიკური მდგომარეობა.

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
3. "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
4. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების მაქსიმალური ფასის გადახდა.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"

ა მ ო ნ ა წ ე რ ი
ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 20 დეკემბრის N245-ე დადგენილებიდან

* * *

ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :

1. ცვლილებები შევიდეს ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის N217 დადგენილებაში:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ქალაქ ბათუმში კობალაძის ქუჩის დასაწყისიდან ჟილინის არხამდე მდებარე 19 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით და ხიმშიაშვილისა და კობალაძის ქუჩების მიმდებარედ არსებული 8 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ".

2. დადგენილების საკონსტატაციო ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ ქალაქის კეთილმოწყობის, გართობისა და დასვენების, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით მიზანშეწონილია, ქალაქ ბათუმში კობალაძის ქუჩის დასაწყისიდან ჟილინის არხამდე მდებარე 19 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით და ხიმშიაშვილისა და კობალაძის ქუჩების მიმდებარედ არსებული 8 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე გამოცხადდეს კონკურსი".

3. მე-2, მე-3 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. გამოცხადდეს კონკურსი ხიმშიაშვილისა და კობალაძის ქუჩების მიმდებარედ სამხრეთით არსებული 8 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე".

"3. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად დაწესდეს ქალაქ ბათუმში, კობალაძის ქუჩის დასაწყისიდან ჟილინის არხამდე მდებარე 19 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით და ხიმშიაშვილისა და კობალაძის ქუჩების მიმდებარედ არსებული 8 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე ერთიანი კომპლექსური საკონკურსო წინადადების წარმოდგენა".

"8. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიის სასარგებლოდ წარმოადგინოს დეპოზიტი 6160 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 8 000 კვ.მ. მიწის საწყისი გასაყიდი ფასის 123 200 ლარის 5%-ს".

2. ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის N217 დადგენი-ლებაში წინამდებარე დადგენილებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცდეს მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე საკონკურსო პირობები (დანართი N2).

3. ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულმა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიამ შეაჩეროს ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის N217 დადგენილების შესაბამისად კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება.

4. ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის N217 დადგენილების მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღების ვადის ათვლა დაიწყოს წინამდებარე დადგენილების შესაბამისად ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ.

5. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

ს წ ო რ ი ა :
ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის
20 დეკემბრის N245 დადგენილების

დ ა ნ ა რ თ ი N 2

ქალაქ ბათუმში, ხიმშიაშვილისა და კობალაძის ქუჩების მიმდებარედ არსებული 8 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე გამოცხადებული კონკურსის პირობები

შესავალი

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ ქალაქის კეთლმოწყობის, გართობისა და დასვენების, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 20 დეკემბრის N245 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ხიმშიაშვილისა და კობალაძის ქუჩების მიმდებარედ არსებული 8 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე.

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ქალაქის იერსახის გაუმჯობესება. კერძოდ, ქალაქ ბათუმში, ხიმშიაშვილისა და კობალაძის ქუჩების მიმდებარედ არსებული 8 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, მასზე თანამედროვე ტიპის სა-სტუმროსა და საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პირობით მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა.

2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ხიმშიაშვილისა და კობალაძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია - 8 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - საცხოვრებელი სახ-ლისა და სასტუმროს კომპლექსების მშენებლობა.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 8 000 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე - 15,40 ლარი, სულ 123 200 ლარი.

3. საკონკურსო პირობები

1. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია:

ა) ქალაქ ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩის გასწვრივ ააშენოს სასტუმროს კომპლექსი, ხოლო კობალაძის ქუჩის გასწვრივ საცხოვრებელი კომპლექსი;

ბ) საცხოვრებელი სახლის კომპლექსის მშენებლობა დაიწყოს კანონით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან გონივრულ ვადაში;

გ) სასტუმროს კომპლექსის მშენებლობა დაასრულოს 2007 წლის ზაფხულის სეზონის გახსნამდე;

დ) მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის (123 200 ლარი) გადახდის გარდა, საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აუშენოს ქალაქ ბათუმის თვითმმართველობას, მის მიერ განსაზღვრულ ადგილას საცხოვრებელი სახლი. ქალაქ ბათუმის თვითმმართველობისათვის ასაშენებელი საცხოვრებე-ლი სახლის ფართი უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებული პირის მიერ ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის კომპლექსის 20%, მაგრამ არანაკლებ 13000 კვ.მ.-სა. ქალაქ ბათუმის თვითმმართველობისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა უნდა დასრულდეს მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის გამო-ყოფიდან 30 თვის განმავლობაში.

2. კონკურსში გამარჯვებული პირის მიერ ქალაქ ბათუმის თვითმმართველობისათვის საცხოვრებელი სახლი აშენებულად ითვლება დადგენილი წესით შექმნილი სახლის ექსპლუატაციაში მიმღები კომისიის დასკვნის დამტკიცების შემდეგ.

3. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით) და იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი, მოცულობითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

4. კონკურსში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე საკონკურსო პირობების შესრულების მო-თხოვნის უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია ლიკვიდური ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან.

5. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მიწის ნაკვეთის შესყიდვის ფასის სრული დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს მიწის საკუთრებაში რეგისტრაციის შემდეგ, იგი გაიცემა გირაოში ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის სასარგებლოდ, აღებული ვალდებულებების შეუსრულებ-ლობის უზრუნველყოფის მიზნით.

6. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიის სასარგებლოდ დეპოზიტზე უნდა შეიტანოს 6160 ლარი, რაც წარმოადგენს 8 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის 123 200 ლარის 5%-ს. აღნიშნული თანხა გამარჯვებულ პრეტენდენტს ჩაეთვლე-ბა შესასყიდი თანხის ანგარიშში, ხოლო დამარცხებულს ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდება იმავე წესით, რომლითაც მან ეს თანხა შემოიტანა.

4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობებია პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრო-ბასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატე-რიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

განაცხადი უნდა შევიდეს შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ეკონომი-კური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 26 იანვარს 15. 00 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 26 იანვარს 16^{00} სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე"
უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:
აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

ნინია ქაქაბაძის სვეტი

გადავყაროთ არასრულფასოვანი ბავშვები

სრული ვანდალიზმია იმ დედების საქციელი, რომლებიც გონებრივად ჩამორჩენილ ახალდაბადებულ ბავშვებს სამშობიაროში ტოვებენ და მათი მომავლით აღარ ინტერესდებიან. ყველა ჩვენგანს აქვს უფლება, ამგვარ საქციელთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გამოთქვას. ბავშვების მიტოვების მიზეზი საკუთარი ცხოვრების ჩვეულ, უშფოთველ რიტმში გაგრძელებაა. ზედმეტი პრობლემა არავის უნდა, თუნდაც ეს საკუთარ შვილს ეხებოდეს.

რა შუაშია და რამ გამახსენა ეგოისტი, სადისტი დედების არსებობა. ეს, ალბათ, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც საკუთარი არ უნდა გადააგდო. მაგრამ, ჩემი მოსაზრება პოლიტიკურ გუნდში არასრულფასოვანი ჩინოვნიკების მფარველობას არ გულისხმობს. საინტერესოა, საქართველოს ახალი მთვრობა ბევრი ნაკლოვანის მფარველობას როდემდე აპირებს?1 მაგალითად, საინტერესოა, კიდევ რამდენი პოსტი და მაღალი ჩინი უნდა გამოიცვალოს კოტე კემულარიამ, რომ საკუთარი შესაძლებლობები არა პოლიტიკაში ანუ სახელმწიფოს მართვაში, არამედ სხვა, რადიკალურად განსხვავებულ სფეროში მოსინჯოს. "ის ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრია და გააგრძელებს მუშაობას ახალ, ამა და ამ თანამდებობაზე", – დაახლოებით ასე ჟღერს უმრავლესობის წარმომადგენელთა კომენტარები. კემულარია ამ შემთხვევაში ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც რევოლუციური შემართება დაუფასდა. რუსეთის ელჩი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი. ორი წლის განმავლობაში სამი ასეთი მნიშვნელობის თანამდებობა მის ე.წ. CV-ში ანუ პირადი მონაცემების ნუსხაში იმდენად შთამბეჭდავად გამოიყურება, რომ აუცილებელიც იქნება ისინი **"გავაბოლდოთ"** ანუ ასოები გავამუქოთ. გარდა ამისა, სხვა რა შეიძლება დაგვამახსოვრდეს. არაფერი. ენის უცოდინარობისა და დიპლომატებთან არაკომუნიკაბელურობის გამო მას რუსეთიდან სამშობლოში აბრუნებენ, შემდეგ უზენაეს სასამართლოში უმოქმედობის გამო თანამდებობიდან ითხოვენ და ბოლოს იუსტიციის სამინისტროში, ქვეყნის პენიტენციარულ სისტემაში სრული განუკითხაობის, კორუფციის აღზევებისა და სრული კრიზისის მიზეზით, რაც აბსოლუტური სიმართლეა, კიდევ ერთხელ ათავისუფლებენ თანამდებობიდან და სხვა საპატიო თანამდებობაზე გადაჰყავთ.

რა შეიძლება შეიცვალოს ქვეყანაში პოზიტიური მიმართულებით, თუ ერთი და იგივე, რბილად რომ ვთქვათ, წარუმატებელი ჩინოვნიკები მუდმივად ერთ წრეში იტრიალებენ და სხვადასხვა სფეროებში ე.წ. რეფორმებს თუნდაც ხუთი თვით შეაჩერებენ? როდემდე შეიძლება ერთი, საკმაოდ მდარედ დადგმული მასკარადის მაყურებელნი ვიყოთ? ისევ კემულარიას მაგალითზე ვთქვათ. უკვე რამდენიმე თვეა მას, სრულიად სამართლიანად, თავგამოდებით ებრძვის თავისუფლების ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი კი საპარლამენტო უმრავლესობის ერთი ფრთის, კერძოდ, ბოკერიას ფრთის არაოფიციალური ნაწილია. საბოლოოდ ყოფილი კმარელებისა და ყოფილი ლიბერალების გუნდი პრაქტიკულად დასახულ მიზანს აღწევს, რაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, სრულიად გამართლებულია. ამ დროს ერთ-ერთ საინფორმაციო გამოშვებაში ვისმენთ გიგა ბოკერიას მაღალ შეფასებას კემულარიას შესახებ, სადაც მის ღირსებებზე, წარმატებებზე და ბოლოს გუნდის ერთგულ წევრობაზე საუბრობს. თუმცა, ბოკერიას დამოკიდებულება, თუნდაც თავისუფლების ინსტიტუტის პოზიციიდან გამომდინარე, ხომ ცხადია. ამას გულისხმობს ყალბად შესრულებული მასკარადი, რომელიც ხალხის გაბრიყვებას ისახავს მიზნად. თუ ჩვენი შეფასება მცდარია, მაშინ საინტერესოა, სინამდვილეში ვისი თანამოაზრეა დეპუტატი ბოკერია – კოტე კემულარიასი თუ ლევან რამიშვილის?!

რას ნიშნავს გუნდის ღირსეული წევრი და თუ ის სინამდვილეში არ არის ღირსეული, რატომ არ შეიძლება მისი საპატიო პენსიაზე ან, გნებავთ, სხვა სამსახურში რიგით თანამდებობაზე გაშვება. სახელისუფლო უმრავლესობის ამ გუნდის სტრატეგია ასეთია: უპირველესი წესია არ გააკრიტიკო, უფრო ზუსტად, განსხვავებული აზრი არ გამოთქვა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ეს ერთადერთი მოთხოვნაა. თუ ამ მოთხოვნას ვასრულებთ, ჩვენი ხელშეუხებლობა და პრივილეგირებულობა გარანტირებულია. მოვიპაროთ, ქრთამი ავიღოთ, კორუფცია გავაღვივოთ, კიდევ უფრო უკან დავხიოთ ამა თუ იმ სფეროს განვითარების პრესპექტივა და სხვა მრავალი. ყველაფერს მოგვიტევებს დიადი პარტია, ყოველთვის დაიცავს ჩვენს უფლებებს ბოკერია - მხოლოდ აუგი არ წამოგვცდეს გუნდის ნებისმიერ, ახალ თუ დაძველებულ ინიციატივაზე.

ეს ტენდენცია უკვე ტრადიციად იქცა. რა შედეგი შეიძლება მოგვიტანოს ამ ტრადიციად ქცეულმა ტენდენციამ, რომელიც ამტკიცებს, რომ ქვეყნის მართვისას პრიორიტეტია არა ამა თუ იმ ჩინოვნიკის კომპეტენტურობა, პროფესიონალიზმი და უკვე წარმატებული საქმიანი გამოცდილება, არამედ ერთგულება, რომელიც მორჩილებას გულისხმობს. მონობასა და მორჩილებაზე აშენებული სახელმწიფო უარეს შემთხვევაში ფეოდალურ წყობილებაში გადაგვაგდებს, უკეთეს შემთხვევაში კი ახალ რევოლუციამდე მიგვიყვანს. ამ შემთხვევაში ორივე გამოსავალი ერთნაირად უარყოფითად აისახება ჩვენი ქვეყნის მომავალზე.

ამიტომ ვფიქრობ, დროა საპარლამენტო უმრავლესობა თუ აღმასრულებელი ხელისუფლება წარუმატებელი ჩინოვნიკების მფარველობას მოეშვას და ახალი კადრების შერჩევისას არა პარტიული ერთგულებით, არამედ პროფესიონალიზმის ხარისხით იხელმძღვანელოს. დროა, გადავყაროთ არასრულფასოვანი ბავშვები.

ეროვნული მუზეუმის ახალი მოდელი და ფრანგი მეგობარი

ჟან ფრანსუა მილუ და დავით ლორთქიფანიძე.

თეონა ჯაფარიძე

ჟან ფრანსუა მილუ ტიპური ფრანგია - გამხდარი, მაღალი, ცისფერთვალება და ენერგიული. ის თავის სავიზიტო ბარათს მიწვდის, სადაც მისი პარიზული არქიტექტურული სტუდიის მისამართია აღნიშნული. დიახ, ის არქიტექტორია. აქამდე მის შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით ვიცოდი: "ფრანგი არქიტექტორი ისევ ჩამოვიდა. ასე რომ, დღეს მუზეუმში ვართ", – ხშირად გამიგონია ნაცნობებისგან, ძირითადად, არქიტექტორებისგან, რომლებიც, როგორც ვიცი, მუზეუმისა და სამუზეუმო ქუჩის (გუდიაშვილის ქუჩა) კონცეფციაზე მუშაობენ. ეს ფრაზა ისეთი სიხშირით მეორდებოდა, ანუ ისეთი სიხშირით მოძრაობდა ფრანგი არქიტექტორი პარიზსა და თბილისს შორის, რომ ცნობისმოყვარეობა მკლავდა გამეგო, თუ რა ხდებოდა იქ, "მუზეუმის შიგნით", თუმცა ზოგადად ვიცოდი, რომ მზადდებოდა ეროვნული მუზეუმის ახალი კონცეფცია, ახალი მოდელი.

მოგვიანებით ყველაფერი გავარკვიე, როცა ინტერვიუსთვის ეროვნული მუზეუმის დირექტორის – **დავით ლორთქიფანიძისა** და ფრანგი არქიტექტორის - **ჟან ფრანსუა მილუს** პირისპირ აღმოვჩნდი.

ბატონი დავითის კაბინეტში დახვავებულ უამრავ კატალოგს, წიგნსა და National Geografhic-ის ნომრებს შორის ამავე გამომცემლობის მიერ ესპანურ ენაზე გამოცემულ ახალ წიგნს მოვკარი თვალი, რომლის გარეკანზეც უკვე მსოფლიოში ცნობილი დმანისელი ჰომინიდების თავის ქალები და დმანისის ბაზილიკა იყო გამოსახული. წიგნის ყდიდანაც ჩანს, რომ ევროპას ქართული მეცნიერება და ქართული კულტურა ერთად, მთლიანობაში აინტერესებს. ეს ისე, ცნობისთვის.

ამასობაში კი ჩვენს შორის დიალოგი დაიწყო:

"ჟან ფრანსუა მილუ თავის მეუღლესთან სუზანთან ერთად ყოველ თვეში ორი დღით ჩამოდის თბილისში აქ, ჩვენთან, მუზეუმში. ის არქიტექტორია და სპეციალიზებულია სამუზეუმო სფეროში, თანამშრომლობს მსოფლიოს ბევრ მუზეუმთან, მონაწილეობა აქვს მიღებული არქეოლოგიური პარკების შექმნაში. მისი მეუღლე სუზანი კი იუნესკოს ექსპერტია. ისინი ჩვენ მუზეუმის ახალი მოდელის შექმნაში გვეხმარებიან. ჟან ფრანსუა ჩვენი მრჩეველი და საქართველოს მეგობარია", - მიხსნის ბატონი დავითი.

"ჩვენი თანამშრომლობის გრაფიკი ასეთია: ელექტრონული ფოსტით თითქმის ყოველდღიურად ვთანამშრომლობთ. თვეში ერთხელ კი შემაჯამებელი სემინარები გვაქვს მუზეუმის თანამშრომლებთან. ამჯერად პარალელურად ორ ჯგუფთან ვმუშაობ: - არქიტექტორებთან და კოლექციების აღრიცხვის ჯგუფთან. საერთოდ, ყველა მიმართულებით ვცდილობთ საბოლოოდ თანამედროვე, მომავლის მუზეუმის მოდელი ჩამოვაყალიბოთ. თქვენი კოლექციები ამას ნამდვილად იმსახურებს. ეს თანამედროვეობა უნდა აისახებოდეს როგორც მის ვიზუალურ მხარეზე (მაგ: სამუზეუმო განათება, ქუჩის დიზაინი, მისი გამწვანება და აგრეთვე განათება), ასევე თავად მუზეუმის არსში – მაგალითად, კოლექციების მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში", – ამბობს ბატონი **ჟან ფრანსუა**.

დავით ლორთქიფანიძე: "ეროვნული მუზეუმის მოდელის შექმნა კომპლექსურად, ერთდროულად საკმაოდ ბევრი მიმართულებით მიმდინარეობს (საგამოფენო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო). მაგალითად, ამჯერად ვამუშავებთ კოლექციების რუკას, სერვისს კოლექციებთან მიმართებაში. პარალელურად "აუდიტორიის პროექტზე" ვმუშაობთ. უმაღლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი მუზეუმის სამეცნიერო მუშაობას უფრო ცოცხალსა და ქმედითს გახდის. იკვეთება მუზეუმის თანამშრომელთა ახალი ფუნქციებიც. მაგალითად, შეიქმნა ჯგუფი, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობაზე და სტრატეგიული მარკეტინგის მიმართულებით იმუშავებს. ასეთი მიდგომით მაღალი რანგის სპონსორთა რიცხვი გაიზრდება. მაგ: სამუზეუმო ქუჩის პროექტში უკვე ჩაება ჯი-ემ-თი ჯგუფი და თი-ბი-სი. ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთი პირველი ექსპოზიციის შექმნასა და შემდეგ კატალოგის მომზადებაში სანიმუშო იყო bp-სთან თანამშრომლობა.

საერთოდ, მიმაჩნია, რომ მუზეუმის წარმატება საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმატებაა, სადაც საბოლოო ჯამში ყოველთვის ქვეყანა რჩება მოგებული."

ამას წინათ კრანახისა და რეისდალის დაბრუნებული ტილოების გამოფენაზე ყური მოვკარი, რომ მუზეუმის შემოსავალმა ერთ წელიწადში 350 პროცენტით მოიმატა. ციფრი იმდენად არარეალური მეჩვენა, რომ კითხვით მივმართე ბატონ დავითს:

დავით ლორთქიფანიძე: "სრული სიმართლეა. 2004-დან 2005 წლამდე რამდენიმე გამოფენისა და მისი სწორი "პრომოუშენის" წყალობით, მხოლოდ ბილეთებით მუზეუმის შემოსავალი 35 ათასიდან 120 ათას ლარამდე გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებას მუზეუმში სიარულის მოთხოვნილება გაუჩნდა. მთავარია ჩვენი კოლექციები მათ 21-ე საუკუნის გადასახედიდან დავანახოთ და მათთვის სანახაობა, შოუ შევქმნათ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზე საუბარი".

მოკლედ, ეროვნული მუზეუმი, მისი კოლექციები და თანამშრომლები სიახლეებისთვის ემზადებიან. მანამდე კი ბატონი ჟან ფრანსუა თავისი კეთილი რჩევებითა და ევროპული გამოცდილებით აღბათ კიდევ ბევრჯერ ეწვევა თბილისს.

სწავლა დიდ ბრიტანეთში

- ლონდონი, ოქსფორდი კემბრიჯი, ბრაიტონი
- ინგლისური ენის ცენტრი თბილისში

- გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის კოლეჯებში და საუნივერსიტეტო პროგრამებზე: A-Level, Foundation, და Pre-MBA. საქართველოს ბანკის მიერ სწავლების დაფინანსების შესაძლებლობით.
- მომზადებას ინგლისურ ენაში თანამედროვე მეთოდებით მაღალკვალიფიციური ინგლისელი და ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით. აბიტურიენტების მომზადებას ეროვნული გამოცდებისათვის.

საგანმანათლებლო სააგენტო ELL
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 30ა II სართული
ტელ: 39 92 46, 899 50 40 12
E-mail: n_makatsaria@yahoo.com

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლა
აცხადებს კონკურსს
სკოლის ინფორმაციული მენეჯერის ვაკანსიაზე
(ერთი საშტატო ერთეული)

კვალიფიკაცია და მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება;
ინგლისური ენის ცოდნა;
ორგანიზაციული ნიჭი;
პროექტებზე მუშაობის გამოცდილება;
საკომუნიკაციო უნარჩვევები;
კომპიუტერულ პროგრამებზე (Word, Exel, Linux) მუშაობის გამოცდილება;

კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:
CV;
განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
მოტივაციის წერილი;
თბილისის 23-ე საშუალო სკოლის კანცელარიაში ა. წ. 22 დეკემბრამდე.
მისამართი: უზნაძის ქ. №59, 23-ე სკოლა, I სართული, ოთახი №101.
ტელ: 95 07 42.

ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
  უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსაღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge

„ახალი საუკუნე"

ქართული ლიტერატურული ჟურნალი

თამარ ბურჭულაძე

ის, რომ წიგნი ტელევიზორმა და ინტერნეტმა შეცვალა, ახალი ამბავი არ არის, რადგან ამ გზით საჭირო ინფორმაციის გაგება ბევრად უფრო მარტივია და ნაკლებ დროსაც მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში, ქართველი ახალგაზრდობის დიდ ნაწილს "ტომ სოიერის" იქით არაფერი აქვს წაკითხული და ამას არც დარდობს. თუმცა, იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ლიტერატურა სულ სხვა საქმეს "ემსახურება" და მეტ განათლებას და ცოდნას იძლევა. ასეთი მდგომარეობის ფონზე სასიამოვნოდ გამოაცა იმ ფაქტმა, რომ 22 დეკემბერს TBC ბანკის სათაო ოფისში ახალი ლიტერატურული ჟურნალის "ახალი საუკუნის" პრეზენტაციაზე, გურამ დოჩანაშვილისა და დათო მაღრაძის გვერდით, არა მხოლოდ ჩემი მშობლების თაობა, არამედ ბევრი თინეიჯერი შეიკრიბა. როგორც ჩანს, საქმე ისე ცუდად არ ყოფილა, როგორც მეგონა და ხალხს რაღაც კარგს და საინტერესოს თუ მიაწვდი, დიდი სიამოვნებით მიიღებს.

ეტყობა ჟურნალის რედაქტორებიც, რეზო თაბუკაშვილი და ზაალ სამადაშვილი დაიფიქრა იმან, რომ ლიტერატურას პოპულარიზაცია სჭირდება და ლიტერატურული ჟურნალის "მეოცე საუკუნე" განახლება გადაწყვიტა, რომელიც 1994 წლიდან გამოდიოდა და მხოლოდ 11 ნომერი გამოიცა. ახალ საუკუნეში ჟურნალს სათაური შეეცვალა და მასში იბეჭდება, როგორც კარგად ცნობილი, მაგრამ ან გარდაცვლილი მწერლების შემოქმედება, ასევე თანამედროვე მწერლებისა და პოეტების მოთხრობები და ლექსები, რაც კიდევ უფრო განავითარებს და საინტერესოს გახდის ქართულ ლიტერატურას.

ჟურნალი გამომცემლობა "საარში" იბეჭდება და მის დიზაინზე გურამ წიბახაშვილი მუშაობს. "ახალი საუკუნე" წელიწადში ოთხჯერ გამოვა და იმედია, ლიტერატურას მოწყურებულ საზოგადოებას ხარისხიან და საინტერესო მასალას მიაწვდის.

ყურადღება!

რესპერანი
დაკარგული სამოთხე''

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207